

პოზიტიური კომუნიკაცია



თავი 6

პოზიტიური კომუნიკაცია

მიზნები

ამ თავის წაკითხვის შემდეგ თქვენ უნდა შეძლოთ:

- ეფექტური მოსმენის სტრატეგიების განსაზღვრა;
- კომუნიკაციის თანმხლებ გრძნობებსა და ემოციებზე რეაგირება;
- პოზიტიური მითითებების ლოგიკური მიზეზის გაცნობიერება;
- მტკიცებითი კომუნიკაციის ნიშან-თვისებების ჩამოთვლა;
- არაპროდუქტიული კომუნიკაციის ნიშან-თვისებების დასახელება;
- პოზიტიური დაპირისპირების სტრატეგიების განხილვა.

პოზიტიური კომუნიკაციის საფუძვლების შექმნა

პოზიტიური კომუნიკაცია გამოხატვისა და რეაგირების გაცემითა და მიღებით სავსე ცეკვას ჰგავს. ბავშვები ადრეულ ასაკში იწყებენ ამ ინტერაქტიულ ცეკვას, მაგრამ ეფექტური კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს ისინი თანდათან, წლების განმავლობაში ეუფლებიან. ბავშვები კომუნიკაციას ყველაზე კარგად უფროსების მიბაძვითა და მათთან ურთიერთობით სწავლობენ, რომლებიც მაგალითს ქმნიან ბავშვებისათვის და მათთან ერთად მონაწილეობენ საუბრის ორივე ასპექტში – ლაპარაკსა და მოსმენაში, საუბრის წამოწყებასა და გაგრძელებაში.

როდის იწყება კომუნიკაცია?

კომუნიკაციის განვითარება იწყება დაბადებამდე, როცა ჩანასახს მუცელში დედის ხმა გაურკვევლად, დახშულად ესმის. დაბადებისთანავე ახალშობილი შეიძლება შეკრთეს და მობრუნდეს ხმის გაგონებაზე; შესაძლოა, დედის ხმაც კი გაარჩიოს სხვა ქალის ხმისაგან .

ერთი დღის ჩვილი აღმზრდელის საუბრის რიტმს აყოლებს მოძრაობას (Condon&Sandler, 1974). ერთი თვისას კი შეუძლია ზოგიერთი ხმოვნის გარჩევა (Trehub, 1973). დროთა განმავლობაში ბავშვები თანდათანობით ბაძავენ უფროსების კომუნიკაციას, როგორცაა, მაგალითად, ტონის ცვლილება, ინტონაცია, სახის გამომეტყველება, შეყოვნება, ასევე დიალოგის დაწყება და დასრულება.

როგორ შეუძლიათ უფროსებს, ხელი შეუწყონ ჩვილებში კომუნიკაციის უნარ-ჩვევების განვითარებას?

უფროსმა ბავშვი ჩვილობის ასაკიდან უნდა ჩართოს კომუნიკაციაში, ისე უნდა დაელაპარაკოს ჩვილს, რომ ბავშვმა ის ადვილად აღიქვას და ყურადღება მიაქციოს. . როცა საუბარი ხდება ძალიან ინტენსიური და დამღლევი, ბავშვი გვერდით გახედვით ან მთქნარებით გამოხატავს, რომ დაიღალა და დასვენება სჭირდება

გულისხმიერი უფროსი ბავშვის ნებას მიჰყვება, ის უნდა დაელოდოს, როდის ამოიღებს ხმას ჩვილი, გაიმეოროს მისი ხითხითი, ლულუნი და ტიკტიკი. ასეთი საუბარი, რომელსაც ბავშვი წარმართავს, ძალიან სასარგებლოა – ბავშვი კომუნიკაციას იწყებს მანამ, ვიდრე სიტყვების გაგებასა და ლაპარაკს დაიწყებს. ასეთი ტიპის ურთიერთობისას, როცა ბავშვის გარკვეული ქცევა უფროსის პროგნოზირებად რეაქციას იწვევს, ჩვილები ხვდებიან, რომ მათი გარემო კონტროლირებადი და პროგნოზირებადია, რაც გარემოში მათი ჩართულობის მოტივაციას ზრდის და სწავლის სტიმულს აძლევს. თუ ჩვილები გრძნობენ, რომ მათ არ შეუძლიათ ურთიერთობა, ისინი ღიზიანდებიან და პასიურობენ (Watson, 1973).

უფრო მოზრდილი ბავშვი ხვდება საუბრის მნიშვნელოვან ელემენტებს: ძირითად სიტყვებს, ინტონაციას, სახის გამომეტყველებას, ჟესტებს, ადეკვატურად რეაგირებს, როდესაც რაიმეს მიცემას ან გამორთმევას სთხოვენ. შესაძლოა, აზრი ვერ გამოვიტანოთ, რის თქმას ცდილობს ჩვილი, მაგრამ ტაქტიანი მოზრდილი გამონახავს გზას, მოთხოვნა აღარ გაამეორებინოს.

გამამხნეველი რეაქცია ბავშვის მცდელობაზე, დაიწყოს ლაპარაკი, სტიმულს მისცემს ბავშვს, კიდევ სცადოს (Hess&Shipman, 1967). ზედმეტი შესწორებები და შენიშვნები კი შემდეგ მცდელობებზე გულს აუცრუებს. ორი წლის ბავშვსაც კი, რომელმაც უკვე ბევრი სიტყვა და გამოთქმა იცის, ფრთხილი წაქეზება სჭირდება დიალოგში ჩასართავად. უფროსებს შეუძლიათ პატარებისათვის მარტივი კითხვების დასმით (მაგალითად, „ეს შენი დიდი დათუნია? რა ჰქვია შენს დათუნიას?“) აქტიურად ჩართონ ისინი საუბარში (Honing&Wittmer, 1997, Kaye, 1982).

რა არის ადრეული საუბრის ტიპური ნიშან-თვისებები?

ჩვეულებრივ, პატარა ბავშვები, თამაშის დროს, თავის თავს ესაუბრება (Weiss&Lillywhite, 1976). ახალფეხადგმული ბავშვი ხანდახან ხმას არ იღებს, როცა ლაპარაკს სთხოვენ, მაგრამ თავისუფლად იწყებს ტიკტიკს, როცა მარტოა ან აღმზრდელთან, რომელსაც ძალიან ენდობა. საბავშვო ბაღში ახალმიღებულ პატარებს კვირები და თვეები სჭირდებათ მასწავლებელთან სიტყვიერი კომუნიკაციის

დასამყარებლად, მაშინაც კი, როცა მშობლები ამბობენ, რომ ისინი ძალიან ბევრს ლაპარაკობენ შინ, ოჯახის წევრებთან.

სამი და ოთხი წლის ბავშვებს უკვე შეთვისებული აქვთ ის ლექსიკა, რაც სჭირდებათ აზრისა და გრძნობის გადმოსაცემად. ისინი მკვეთრად გამოხატავენ გრძნობებს, როცა მათ ვინმე უსმენს. სკოლამდელი ასაკის ბავშვი თუ ფიქრობს, რომ არ უსმენენ, შეეცდება, უფროსმა დაინახოს, ან კიდევ მისი მსგავსი გამომეტყველება მიიღოს, რომ აიძულოს მოსმენა. ხანდახან, როცა ერთი სკოლამდელი ბავშვი მეორეს უყურებს და აღელვებული ესაუბრება, ყურადღებას არ აქცევს იმას, მეორე უსმენს თუ არა. სკოლამდელი ასაკის ბავშვები ასევე ესაუბრებიან უსულო საგნებს, მაგალითად, სათამაშო ცხოველებს ან ტელეპერსონაჟებს და არ აწუხებთ, თანამოსაუბრე პასუხს გასცემს თუ არა.

სასკოლო ასაკის ბავშვები უფრო მეტად აუმჯობესებენ კომუნიკაციის უნარს. ისინი საბოლოოდ აცნობიერებენ, რომ თანამოსაუბრენი ლაპარაკისა და სმენის დროს ერთმანეთისკენ უნდა მიბრუნდნენ საუბრის მოსასმენად. ლექსიკისა და ასაკის მატებასთან ერთად მათი შესაძლებლობები იზრდება. ახალფეხადგმული ბავშვები და სკოლამდელი ასაკის ბავშვები გრძნობების გამოსახატავად ფიზიკურ ქესტებს იყენებენ: გაბრაზებას გამოხატავენ კბენითა და დარტყმით, ხოლო სიყვარულს – ჩახუტებითა და მხურვალე კოცნით. ამის საპირისპიროდ, სასკოლო ასაკის ბავშვები სიყვარულს ან გაბრაზებას სიტყვებით უკეთესად გამოხატავენ. ისინი იყენებენ საღანძღავ სიტყვებს, მუქარას ან შეურაცხმყოფელ სახელს არქმევენ მას, ვინც აბრაზებს და მეგობრობას სთავაზობენ იმას, ვის მიმართაც სიყვარულის გამოხატვა სურთ. სასკოლო ასაკის ბავშვები პატარებივით აღარ იმეორებენ სხვების ქცევას, მაგრამ რასაც ხედავენ, ყველაფერს ითვისებენ. სასკოლო ასაკის ბავშვები მაგალითს იღებენ იმ უფროსებისა და თავისი ასაკის ბავშვებისაგან, ვინც მოსწონთ და მათ გავლენას განიცდიან (Bandura, 1977).

რატომ არის აუცილებელი პოზიტიური და ორმხრივი კომუნიკაცია ბავშვის აღზრდაში?

ბავშვის განვითარებასთან ერთად მისი კომუნიკაციის სტილიც თანდათანობით იცვლება, უფროსებმა უნდა გააცნობიერონ და გააანალიზონ, რა შეზღუდვების დაწესებაა საჭირო იმისათვის, რომ ბავშვებს ეფექტური კომუნიკაციისაკენ უბიძგონ. ბავშვის აღზრდის ეფექტურობას ორმხრივ კომუნიკაციაში მიღწევები განსაზღვრავს. დისციპლინის ჩამოყალიბების საბოლოო მიზანი ბავშვის კონტროლი ან მანიპულირება კი არ არის, არამედ შინაგანი კონტროლისთვის სტიმულის მიცემა, რაც პასუხისმგებლობასა და ერთმანეთის უფლებების პატივისცემას ეყრდნობა. შინაგანი კონტროლი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად გაიგებს ბავშვი იმ

საჭიროებებსა და მოლოდინებს, რომელიც გულწრფელი დიალოგის საფუძველზე მიიღწევა.

ბავშვებისთვის კომუნიკაციის უნარ-ჩვევების შეთვისების ყველაზე ეფექტური საშუალებაა უფროსებისაგან მაგალითის აღება და შემდეგ პრაქტიკაში გამოყენება. ისინი კვლავ და კვლავ იმეორებენ იმ სიტყვებსა და ქმედებას, რასაც აკვირდებიან და ამგვარად, ეს უნარ-ჩვევები მათი ცოდნის მარაგის ნაწილი ხდება. თუმცა უფროსებს, რომლებიც ზრუნავენ ბავშვებზე და ასწავლიან მათ, კომუნიკაციის კარგად განვითარებული უნარ-ჩვევები უნდა ჰქონდეთ. ეს ჩვევები მათ ეხმარება:

- ზუსტად გაიგონ და განსაზღვრონ ბავშვების საჭიროებები;
- მკაფიოდ გამოხატონ, რას ელიან ბავშვებისაგან;
- ასწავლონ ბავშვებს ეფექტური კომუნიკაცია მაგალითის მიცემით.

უფროსები ხშირად ჩივიან, რომ ბავშვები არ უსმენენ. ამ წიგნში წარმოდგენილი მოსაზრების მიხედვით, ბავშვებმა ეფექტური კომუნიკაციის უნარ-ჩვევები უფროსების მაგალითზე და შესაფერის ურთიერთობებში მონაწილეობით უნდა შეისწავლონ.

რენდალი მასწავლებლის მაგიდასთან მიაჩოჩებს სკამს, შლის სახატავ ფურცელს, იღებს ფერადი ცარცის ნატეხებს და მასწავლებელს მიმართავს: „გამარჯობა, ქალბატონო ქეთო, დიდი სურათის გაფერადებას ვაპირებ“. ქალბატონი ქეთი უყურებს მას, იღიმება და ამბობს: „ძალიან კარგი“. ქალბატონი ქეთის ყურადღება მიპყრობილია ოთახში მოთამაშე ბავშვების ჯგუფისკენ და ვერ ამჩნევს, როგორ იმეორებს რენდალი: „შეხედეთ, ქალბატონო ქეთო, შეხედეთ“.

ბოლოს რენდალი ეჭიდება მას სახელოზე და ეუბნება: „მე დიდ მთებს ვხატავ, მამაჩემმა ლაშქრობაში წამიყვანა და ბევრი კლდე ვნახე. გინდათ, გაჩვენოთ ნამდვილი კლდეები?“

რენდალი წამოხტება თავისი სკამიდან, ჯიბეებს იტრიალებს და სახატავ რვეულზე ცლის. ქალბატონი ქეთი ხედავს პატარა ქვებისა და კენჭების გროვას. ის მკაცრად ეუბნება პატარას: „რენდალ, რა არის ეს? აიღე ეს ტალახიანი ქვები აქედან და ნაგავში გადაყარე. ფურცელს ქვებით ვერ გააფერადებ“.

რენდალს ენა ებმის: „კი მაგრამ, კი მაგრამ...“ და თვალები ცრემლებით ევსება. ქეთი დაჟინებით მოითხოვს: „რენდალ, ნუ წრიალებ და გააკეთე ის, რაც გითხარი“.

რენდალმა ხელები ჩამოუშვა და ნელ-ნელა წაფრატუნდა ნაგვის ურნისკენ. მან დემონსტრაციულად ჩაყარა კენჭები, თავისი „ნამდვილი კლდეები“, ურნაში. ქეითმა არ მოუსმინა.

როგორ უწყობს ხელს ყურადღებით მოსმენა ბავშვის თავდაჯერებულობის განვითარებას?

ბავშვებს ყველაზე მეტად სჭირდებათ ყურადღება, აღიარება და მიკუთვნებულობის გრძნობა. თუ ბავშვი უგულვებელყოფილია, ის თავს ისე იგრძნობს, თითქოს ვერ ამჩნევენ. ხშირად ცუდი ქცევა, მხოლოდ და მხოლოდ იმის მცდელობაა, რომ როგორღაც შეამჩნიონ. ბავშვი, რომელსაც უფროსთან მიკუთვნებულობის გრძნობა არა აქვს, თანდათან შესაძლოა გაუცხოებული, დაუმორჩილებელი ან გარიყული გახდეს.

რაც უფრო დარწმუნებულია ბავშვი, რომ ჯგუფის წევრად აღიარებენ, მით უფრო თავდაჯერებული და კომუნიკაბელურია. ბავშვის მიმართ უფროსის ყურადღება და აღიარება გულისყურით მოსმენაში ვლინდება. უფროსი ბავშვს ყურადღებით უსმენს:

- თვალთ კონტაქტისას;
- საუბრისას უსიტყვო აქტივულობას იყენებს, თავს უქნევს, უღიმის და, შესაბამისად, ეხება კიდევ;
- სათანადო რეაგირებით სტიმულს აძლევს ბავშვს, განაგრძოს საუბარი;
- მოთმინებით ელოდება ბავშვს, დაასრულოს სათქმელი, არ ერევა საუბარში და მის ნაცვლად არ ასრულებს წინადადებას.

ასეთი თავაზიანი და ყურადღებიანი მოსმენა ბავშვებს უნერგავს თავდაჯერებულობის გრძნობას, იმის განცდას, რომ ისინი იმდენად მნიშვნელოვანი ადამიანები არიან, რომ უფროსები მათ უსმენენ და მოდელირების საშუალებით ასწავლიან, თუ როგორ უნდა მოუსმინონ სხვებს. ყურადღებით მოსმენა დაეხმარება უფროსს, გაიგონოს, გაიგოს და ზუსტი რეაგირება მოახდინოს ბავშვის მოთხოვნებზე.

სამი ძირითადი ადამიანური მოთხოვნილება, რომელიც დახმარების თხოვნას უდევს საფუძვლად

მკვლევარი გაზდა და ავტორთა ჯგუფი თავიანთ ნაშრომში განსაზღვრავენ კომუნიკაციის შემადგენელ სამ ძირითად მოთხოვნილებას, რომელიც საპასუხო რეაქციას ან დახმარებას მოითხოვს. უფროსებსა და ბავშვებს ერთნაირი ძირითადი ადამიანური მოთხოვნილებები აქვთ – დაიკმაყოფილონ თავიანთი სოციალური,

ემოციური, ინტელექტუალური და ფიზიკური მოთხოვნილებები. არსებობს უამრავი საშუალება, რომელთაც ყველა ასაკის ადამიანი მიმართავს, როდესაც მეორე ადამიანს სთხოვს დახმარებას, თუმცა ყველა ამ სირთულეს საფუძვლად უდევს სამი ადამიანური მოთხოვნილება. ეს მოთხოვნილებები გამოიხატება თხოვნაში:

- ქმედების ან ინფორმაციისათვის (გთხოვ, გააკეთე... ან გთხოვ, მითხარი...);
- გაგებისა და ყურადღებისათვის (გთხოვ, მოისმინე და ყურადღება მომაქციე...);
- შეუფერებელი ურთიერთობისათვის (ნება მომეცი, ჩაგეხუტო, ვიწუწუნო, დავიჩივლო და ასე შემდეგ).

დრო, ძალისხმევა და პრაქტიკაა საჭირო, რომ ადამიანმა გამოიცნოს ის მოთხოვნილებები, რაც ყოველდღიურ კომუნიკაციას უდევს საფუძვლად. კითხვა: „სადაა ჩემი დედიკო?“ – შესაძლოა, უბრალოდ ინფორმაციის მოთხოვნა იყოს, ან კიდევ ემოციებით დატვირთული ბავშვის თხოვნა ყურადღების მისაქცევად, რომელმაც ძალიან კარგად იცის, სად არის მისი დედიკო. არასწორი კომუნიკაციის ძირითადი წყარო ადამიანისთვის, რომელსაც სურს, მეორე ადამიანს დაეხმაროს, არასწორი დასკვნის გამოტანა და მის თხოვნაზე არასათანადოდ რეაგირებაა. ბავშვის ყურადღებით მოსმენა და მოთმინებით ლოდინი, სანამ შესაფერის სიტყვებს მოძებნის საკუთარი სურვილის გამოსახატავად, მას საუბრის სტიმულს აძლევს. მოუთმენლობა გულს აუცრუებს ბავშვს და შეაფერხებს მისი მეტყველების განვითარებას.

მოსმენისა და დახმარების ეს სტრატეგიები მხოლოდ პატარა ბავშვებისთვისაა აუცილებელი?

მომდევნო ნაწილში მოცემულია სტრატეგიები მკაფიოდ გამოხატული მოთხოვნილებების განსაზღვრისა და მათზე რეაგირებისათვის. ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ეს ბავშვების ქცევის მანიპულირებისათვის განკუთვნილი ხრიკები ან საიდუმლო მეთოდებია – ესა არის ბავშვებსა და მოზრდილებთან ეფექტური და თავაზიანი კომუნიკაციის საშუალებები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბავშვები მოდელირების საფუძველზე სწავლობენ. ბავშვები მაშინვე ხვდებიან, როცა მოზრდილი ადამიანი მეორეს დასცინის ან უხეშად ექცევა, მაგრამ ხელოვნურად თბილი და მზრუნველია ბავშვებთან. მშობლები და ადრეული ასაკის ბავშვების სპეციალისტები ბავშვებთან საუბრისა და ურთიერთობისათვის ემოციურ ტონს იყენებენ. აქ წარმოდგენილი კომუნიკაციის მეთოდი შეიძლება ყველაზე ეფექტური იყოს, თუ ის გამოიყენება მოზრდილის მოზრდილთან, მოზრდილის ბავშვთან და ბავშვის ბავშვთან ურთიერთობისას. ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ: „გააკეთე, როგორც გეუბნები და არა ისე, როგორც მე ვაკეთებ“.

ფრაზა: „ბავშვებიც ადამიანები არიან“ – ისეთი კლიშე გახდა, რომ მნიშვნელობა დაეკარგა. მაგრამ ბავშვები ნამდვილად არიან ადამიანები, რომლებსაც იგივე ღირსება და ადამიანური უფლებები აქვთ, რაც ნებისმიერ სხვას. ბავშვების აღქმა განსხვავებულია, მათი ლოგიკა და გამოცდილება შეზღუდული, მათი მოთხოვნილებები, როლები და პასუხისმგებლობის გრძნობა უფროსებისგან განსხვავებულია, მაგრამ მათ შეუძლიათ აღიქვან დამცირებისა და უარყოფის ტკივილი. უფროსი ასაკის ადამიანთა უმეტესობას მკაფიოდ ახსოვს ადრეულ ბავშვობაში განცდილი მტკივნეული გამოცდილების დეტალები. თუმცა ჩვენ ხშირად ვიქცევით ისე, თითქოს ბავშვის გრძნობები არ იმსახურებს დიდ ყურადღებას. ყოველი ბავშვი სინამდვილეში არის ადამიანი, რომელიც ოდესმე მასწავლებელი, პოლიტიკოსი, მხატვარი ან დურგალი იქნება. ადრეულ ბავშვობაში თავს გადახდენილი ამბავი ადამიანის ხასიათისა და პიროვნების განუყოფელი ნაწილია, იმის მიუხედავად, ახსოვს თუ არა ეს ამბავი.

შესაფერისი რეაგირება ქმედებისა და ინფორმაციის მოთხოვნაზე

18 თვის ჯოი ზის პატარა სკამზე, ირწევა და ტირის: Beah beah Ma beah. როსარიო მის გვერდით ჩაცუცქდება, ნაზად მიუალურსებს და სთხოვს, აჩვენოს, რა უნდა. ჯოი მას ტულეტისკენ გაუძღვება და ხელს გაიშვერს მაღალი თაროსკენ, სადაც მისი საფენები ინახება. თხოვნის ნიშნად ხელს გაშლის და ისევ მომუჭავს.

როსარიო თაროდან იღებს საფენის ჩანთას, მასში ჯოის თეთრ სათამაშო დათვს დაინახავს და ეკითხება: „ოჰ, შენი დათვი გინდა, ჯოი, არა?“

ჯოი თავს უქნევს და ამბობს: Ma beah. ის იხუტებს დათვს, ცალი ფეხით დაიჭერს ხელში და კარისკენ წაბაჯბაჯდება.

მართალია, როსარიომ ვერ გაიგო ჯოის სიტყვები, მაგრამ მიხვდა, რომ ჯოი მისგან ქმედებას ითხოვდა. ადამიანები, რომლებიც პატარა ბავშვებთან მუშაობენ, ძალიან დიდ დროს უთმობენ მათი ქმედების ან ინფორმაციის მოთხოვნაზე რეაგირებას. ზოგიერთი მოთხოვნა მარტივი და ადვილად გასაგებია: „უკვე ჭამის დროა?“ ან „ფეხსაცმელებზე თასმები შემიკარი“. ჯოის მიერ დათუნისა მოთხოვნის მსგავსი სხვა თხოვნები უფრო რთული ასახსნელია.

თხოვნა შესაძლოა დამალული ან შეფარულიც იყოს. ის, რაც ერთი შეხედვით უბრალო ნათქვამს ჰგავს, შესაძლოა, ქმედებას მოითხოვდეს. „არ მეძინება“ სინამდვილეში ნიშნავს: „მოდით, გვერდით მომიჯექი და წიგნი წამიკითხე“. კომენტარი რეალურად შესაძლოა ინფორმაციის მოთხოვნას მალავდეს. „ლეტიციას დედა ძალიან მსუქანია“ – შეიძლება ნიშნავდეს შემდეგს: „ლეტიციამ მითხრა, რომ დედამისს მუცელში ბავშვი ჰყავს და მე ძალიან შეშინებული და დაბნეული ვარ“.

რადგან ბავშვებს კომუნიკაციის უნარ-ჩვევები სრულად არა აქვთ ჩამოყალიბებული, უფროსებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რომ გახსნან კომუნიკაციის არხები.

ხუთი წლის მალიკა მოედანზე დგას თავისი მასწავლებლის, ქალბატონი ჯონსონის, გვერდით. ის ხედავს მათკენ მომავალ მუხლოუხოს და იწყებს კვილოს. ქალბატონი ჯონსონი იხრება და მუხლოუხოს ფოთოლს მიუშვერს. მალიკა ყვირის: „მოგკლავს!“

ქალბატონი ჯონსონი ეუბნება: „არა, მალიკა, ამ პატარა მუხლოუხს პაწაწინა ენა აქვს და კბილები და შხამი საერთოდ არა აქვს. როცა ძალიან გასუქდება, პარკში გამოეხვევა, რომელიც პატარა საბანს ჰგავს, პარკის შიგნით კი ულამაზეს პეპლად გარდაიქმნება. დიდი ხნის შემდეგ ეს ლამაზი პეპლა ამოვა პარკიდან და გაფრინდება“. ქალბატონი ჯონსონი ეხმარება მალიკას, რომ მუხლოუხოს დიდ ქოთანში სახლი გაუკეთოს. მოგვიანებით ის უკითხავს წიგნს: „მშერი მუხლოუხო“.

ქალბატონმა ჯონსონმა მალიკას შიში მწერების მიმართ ბუნებისა და მეცნიერებისადმი ინტერესით შეცვალა. ქალბატონი ჯონსონი მიხვდა, რომ მალიკას წივილ-კვილი სინამდვილეში იყო მისი სურვილი, მიეღო ინფორმაცია. ქალბატონი ჯონსონი მიხვდა ინფორმაციის ამ ფარულ მოთხოვნას.

დაბადების დღის წვეულების შემდეგ ოთხი წლის სეთი ხედავს, რომ დედამისი ნარჩენ ნამცხვარს ქალაქში ახვევს და ეუბნება: „დედა, კიდევ მინდა ნამცხვარი“. „არა, მეტი აღარ შეიძლება“, – აფრთხილებს დედა. „მშია, კიდევ მინდა ნამცხვარი“, – ეხვეწება სეთი.

სეთის დედა დაიხრება, ნაზად აიღებს სეთის ხელს ხელში და თანაგრძნობით ეუბნება: „სეთ, ვიცი, რომ ნამცხვარი კიდევ გინდა, ნამცხვარი ძალიან გემრიელი იყო, არა? მაგრამ ბევრი ნამცხვარი შენთვის ცუდია. მიყვარხარ და მინდა, რომ ჯანმრთელი სხეული და კბილები გქონდეს, ამიტომაც გეუბნები უარს, მეტი ნამცხვარი აღარ შეჭამო“.

სეთმა ხელები გაფშკა, ახტა, დახტა, სლუკუნებდა და როგორც ქათამი აფართხუნებს ფრთებს, ისე აბარტყუნებდა ხელებს (ეს არის სკოლამდელი ასაკის ბავშვების მიერ იმედგაცრუებისა და გაბრაზების გამომხატველი ცეკვა). სეთის დედა არ გაბრაზებულა და მშვიდი ტონით უთხრა: „არა უშავს, თუ გაბრაზებული ხარ; ხანდახან მეც ვბრაზდები, ხანდახან ისე ვბრაზდები, რომ ტირილი მინდა, ხანდახან ისე ცუდად ვგრძნობ თავს, რომ მინდა ვინმემ გულში ჩამიკრას“.

სეთს არ შეუხედავს დედისთვის სახეში, დასწვდა მის ხელებს და დიდხანს და მაგრად ჩაეხუტა. მოულოდნელად მან გაიღიმა და თქვა: „ვაშლი შეიძლება? თუ ვაშლს შევჭამ, სუპერმენივით მაგარი კბილები მექნება“. დედამ გაიღიმა და უპასუხა:

„სეთ, ეს კარგი აზრია“. სეთის დედამ კარგად გაიგო შვილის თხოვნა, მაგრამ ამავე დროს ისიც კარგად იცოდა, რომ ბავშვი კარგ რამეს არ ითხოვდა.

სეთის დედას შვილი საკმარისად უყვარდა, რომ უარი ეთქვა მის თხოვნაზე და არ წასულიყო კომპრომისზე. უფროსები მთლიანად პასუხისმგებლები არიან თავიანთი ბავშვების ჯანმრთელობაზე, უსაფრთხოებასა და კეთილდღეობაზე. მავნე ან არასამართლიანი მოთხოვნების შესრულება ცუდად მოქმედებს ბავშვზე და საბოლოოდ უფროსისა და ბავშვის ურთიერთობას – მათ შორის ნდობასა და პატივისცემას – აზარალებს. ხანდახან უფროსებს კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად ან ბავშვის სიყვარულის მოსაპოვებლად საეჭვო მოთხოვნების შესრულება უწევთ, რაც არასწორი ქმედებაა. სეთის დედამ არა მარტო მკაცრი გადაწყვეტილება მიიღო სეთის სასარგებლოდ, მნიშვნელოვანი გაკვეთილიც ასწავლა.

მისმა ზომიერმა სიმკაცრემ სეთს თვითდისციპლინის მაგალითი აჩვენა და სწორად მოქცევა ასწავლა, თუმცა მისთვის უფრო ადვილი იქნებოდა ბავშვის თხოვნა შეესრულებინა და მისი ნერვიულობა თავიდან აერიდებინა. თავისი მშვიდი, მომთმენი სიმტკიცით, მაშინაც კი, როცა ბავშვი აურზაურის ატეხით ემუქრებოდა, ის დადებითი მაგალითი იყო სეთისთვის. სეთი უნარ-ჩვევებს – სიშვიდის შენარჩუნებასა და გადაწყვეტილების სიმტკიცეს – შეითვისებდა დედისგან (ზოგიერთი მოზრდილი ადამიანი უნებურად იწვევს ბავშვების გაღიზიანებას თავისი გაბრაზებით). რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გრძნობების გულთან მიტანა დაეხმარა დედას, ბავშვს გაეგო, რომ ის საყვარელი და ძვირფასია მისთვის, იმის მიუხედავად, რომ ზღვარს გადავიდა.

შესაფერისი რეაგირება გაგებისა და ყურადღების მოთხოვნაზე

ზოგიერთი მოთხოვნა შეიძლება გავიგოთ, როგორც ინფორმაციისა და ქმედების მოთხოვნა, მაგრამ ასე არ არის. არსებობს კომუნიკაციის ტიპი, რომლისთვისაც მთავარია მოსმენა და ინტერესის გამოჩენა.

ბატონი ვილკე აკვირდება საბავშვო ბაღების აღმზრდელებისა და აღსაზრდელების მუშაობასა და გართობას სხვადასხვა სასწავლო ცენტრში. 5 წლის მორცხვი ანგელიკა მარტოა ხელოვნების ცენტრში. ბატონი ვილკე რომ ჩაუვლის, გოგონა ეძახის: „ბატონო ვილკე, თქვენი დახმარება მჭირდება“. ბატონი ვილკე იღიმება და მის გვერდით პატარა სკამზე ჩამოჯდება. ანგელიკა მას ქალაღდა და პლასტმასის მაკრატელს უწვდის და ეუბნება: „დამეხმარე, არ ვიცი, როგორ გავჭრა“.

ბატონი ვილკე ყოველთვის ყურადღებით აკვირდებოდა და აღწერდა, როგორ ითვისებდნენ მოსწავლეები სასწავლო ცენტრის ხელსაწყოებით მუშაობას თუ მასალებს. ის ხვდება, რომ ანგელიკამ იცის მაკრატლის გამოყენება. ბატონი ვილკე

აკვირდება სიტუაციას და რწმუნდება, რომ არც მაკრატელია გატეხილი და არც ქალაქია სქელი, რომ გოგონას მისი გაჭრა გაუჭირდეს. მან გაიფიქრა, რომ ანგელიკა რეალურად, შესაძლოა, მოქმედებას ან ინფორმაციას კი არ ითხოვს მისგან (ასწავლოს, თუ როგორ გაჭრას), არამედ გაგებასა და ყურადღებას.

ბატონმა ვილკემ იცის, რომ არ შეიძლება მკაცრი წინააღმდეგობის გაწევით ანგელიკას შერცხვენა. მას ასევე არ სურს ანგელიკამ იგრძნოს, რომ თავისი მოჩვენებითი უცოდინრობით ყურადღების მიპყრობა შეუძლია. ის ეუბნება გოგონას: „ხანდახან რამის გაჭრა მართლაც ძნელია, არა?“, ნაზად ეფერება მხრებზე და განაგრძობს: „გინდა შენ გვერდით ვიყო, სანამ ყვითელ ქალაქს გაჭრი?“ ბატონი ვილკე უყურებს და ანგელიკა ხალისით ჭრის ქალაქს ზიგზაგისებურად. რამდენიმე წუთის შემდეგ ვილკე დგება და წასვლისას ანგელიკას ეუბნება: „უნდა იამაყო, რომ მარტო შეძელი ქალაქის გაჭრა“.

ბატონი ვილკე სწორად მიხვდა, რომ ანგელიკა ნამდვილად ითხოვდა გაგებასა და ყურადღებას. ყურადღების ძიება არ არის ბავშვების ახირება, რისი აღმოფხვრაც ყოველთვის საჭიროა. ადამიანები სოციალური არსებები არიან. ჩვენ წარმატების მისაღწევად აუცილებლად გვჭირდება სხვების ყურადღება. ჩვენი მიზანი ბავშვებთან კომუნიკაციისას მათი ყურადღების მიმქცევი ქმედებების აღმოფხვრა კი არ არის, არამედ იმის სწავლება, როგორ მიიღონ საკმარისი ყურადღება სოციალურად შესაფერისი ფორმით. თუ ბატონი ვილკე შენიშნავდა, რომ ანგელიკა ყურადღების მისაქცევად გააგრძელებდა თავის მოჩვენებას, თითქოს არ იცოდა, როგორ უნდა გაეჭრა, აუცილებელი გახდებოდა, რომ თავაზიანად ეთქვა გოგონასთვის: „ანგელიკა, შენ ყურადღება გჭირდება, კარგია, რომ გინდა, ყურადღება მიიქციო; გთხოვ, მითხარი, ბატონო ვილკე, მარტო ვარ და ყურადღება მჭირდება. ეს დამეხმარება გავიგო, ზუსტად რა გჭირდება“.

ისეთ გარემოში, სადაც პატივს სცემენ ბავშვის მოთხოვნილებებს, ბავშვები ხვდებიან, რომ გარკვეული მოთხოვნილებებისა და გრძნობების ქონა ნორმალურია. ხანდახან უფროსები უნებლიეთ ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებენ, თითქოს ბავშვების მოთხოვნილებები ან ემოციები მათ აღიზიანებს. ეს პრობლემა ხშირად მაშინ იჩენს თავს, როცა უფროსებს თავად აქვთ ემოციურად რთული პერიოდი.

გრძნობებისა და საჭიროებებისათვის ყურადღების მიქცევის განსაკუთრებით სასარგებლო სტრატეგიაა აქტიური მოსმენის ტექნიკა (ხანდახან მას მოიხსენიებენ როგორც დაფიქრებულ მოსმენას, ემპათიურ მოსმენას ან რეაგირებად მოსმენას). აქტიური მოსმენის დროს მსმენელი თავს იკავებს ჭკუის დარიგებისაგან, რჩევისა და ინფორმაციის მიცემისაგან. იგი უბრალოდ უსმენს თანამოსაუბრეს და მისი დანახვითა და მოსმენით აღძრულ ემოციებს გამოხატავს. ეს მსმენელს საკმარის

დროს აძლევს, რომ მოუსმინოს მეორე ადამიანს, აგრძნობინოს, რომ მისი გრძნობები და საჭიროებები მნიშვნელოვანი და დასაფასებელია და დაფიქრდეს, როგორ დაეხმაროს ამ ადამიანს პრობლემების გადაჭრის გზების ძიებაში.

გაზდა და მკვლევართა ჯგუფი თავიანთ ნაშრომში (1990) აღნიშნავენ, რომ მისთვის, ვისაც დახმარება ესაჭიროება, პრობლემის გადაწყვეტის გზის დაუფიქრებელი და სწრაფი შეთავაზება „იაფფასიანი და უსარგებლო“ რჩევაა, თუ დახმარების გამწევი ყველა ფაქტს კარგად არ შეისწავლის. პრობლემა ისე მარტივი თუ იქნებოდა, რომ მის გადაწყვეტას დაფიქრებაც არ ენდომებოდა, მას ხომ თვითონ ის ადამიანიც მოუხერხებდა რამეს, ვისაც ეს პრობლემა აწუხებს.

როგორ რეაგირებენ ბავშვის აღზრდელები დამოკიდებულების ან შეუფერებელი ურთიერთობის მოთხოვნაზე?

უფროსებს, რომლებიც ბავშვებზე ზრუნავენ, ხშირად უჭირთ, ზღვარი გაავლონ, სად მთავრდება გაგება და იწყება დამოკიდებულება. ბავშვი ითხოვს: „ხელი მომკიდე“, „პალტო ჩამაცვი“ ან „დამეხმარე ამ თავსატეხის ამოხსნაში“. ბევრ უფროსს უჭირს, გაიგოს, რა არის კარგი ბავშვისთვის. ხელის მოკიდება, დახმარება და ზრუნვა ბავშვის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს თუ მის დამოკიდებულებას აძლიერებს?

ჩვეულებრივ, ბავშვები, როგორც კი ამის შესაძლებლობა ეძლევათ, ცდილობენ უფროსებზე დამოკიდებულებას თავი დააღწიონ. ახალფეხადგმული ბავშვები წინააღმდეგობას უწევენ უფროსების იმ გადამეტებულ ზრუნვას, რაც სასიცოცხლოდ აუცილებელია ჩვილი ბავშვებისათვის; მოზარდები კი ილაშქრებენ მშობლების გადამეტებული ზრუნვის წინააღმდეგ, რაც მათ ადრეულ ბავშვობაში იცავდა. ბავშვების უმეტესობისათვის დამოუკიდებლობა, ზრდის პროცესში, მოტივაციის მიმცემი ძალაა, მაგრამ ეს ძალა ყოველთვის სტაბილურად არ ვითარდება. კარგად განვითარებული და გათვითცნობიერებული ბავშვებიც კი დროდადრო რეგრესს განიცდიან და სჭირდებათ, რომ ვიღაც იცავდეს და ვიღაცაზე დამოკიდებულები იყვნენ. პატარა ბავშვივით მოპყრობა ხშირად ზიანს აყენებს კარგად განვითარებულ ბავშვს. ეს რეგრესია მათ ენერგიასა და დამოუკიდებლობის სურვილს უფრო აძლიერებს. მაგრამ ქრონიკულად დამოკიდებული ბავშვების განებივრება ზიანს აყენებს მათ თავდაჯერებულობასა და ინიციატივის გამოჩენის უნარს.

ზოგიერთ სიტუაციაში ბავშვები სწავლობენ, გახდნენ უმწეონი (Altenor, Kay&Richter 1977; Finkelshtein & Ramey, 1977). ზოგიერთი მოზრდილი ძნელად ეგუება ცვლილებებს და შეიძლება ვერ გააცნობიეროს ბავშვის გაზრდილი შესაძლებლობები; ზოგიერთმა ზრდასრულმა ადამიანმა კი შეიძლება ხელი შეუშალოს ბავშვის

დამოუკიდებლად მოქმედებას იმის გამო, რომ უბრალოდ, ვერ იგებს დამოუკიდებლობის განვითარების მნიშვნელობას.

ბავშვების თავდაპირველი მცდელობა, თვითონ გააკეთონ რაღაც, ხშირად არასწორი და შეცდომებით აღსავსეა. როდესაც ბავშვები სწავლობენ დამოუკიდებლად ჭამას, საჭმელს ღვრიან, აშხეფებენ და ტანსაცმელს სვრიან. ახალფეხადგმული ბავშვები სწავლობენ ჩაცმას და ორივე ფეხს შარვლის ერთ ტოტში ყოფენ. სკოლამდელი ბავშვები სწავლობენ ფეხსაცმლის თასმების შეკვრას და თასმებს საშინლად კვანძავენ. სასკოლო ასაკის ბავშვები, რომლებიც ბაღში მუშაობას სწავლობენ, ფეხით თელავენ ნორჩ ჩითილებს. ასეთი უსიამოვნებები გამოცდილებით ცოდნის შეძენის აუცილებელი ნაწილია. მომთხოვნ, პერფექციონისტულ ან სადამსჯელო ატმოსფეროში, სადაც ბავშვს უჩნდება შეცდომის დაშვების შიში, მან შესაძლოა ისწავლოს რისკის თავიდან არიდება და პასიური გახდეს, არ სცადოს არაფერი, რაც მოითხოვს ინიციატივას ან სადაც შესაძლოა, მარცხი განიცადოს.

ბავშვებს, რომლებმაც ისწავლეს გახდნენ უმწეონი და დამოკიდებულნი (შეძენილი უმწეობა), სჭირდებათ სპეციალური აღზრდა და დახმარება, რომ მშობლების დამოკიდებულებისაგან გათავისუფლდნენ. ბავშვები ხანდახან ითხოვენ დამოკიდებულებას ისეთი ქმედებით, როგორცაა დაჟინებული წუწუნის, მიჯაჭვულობა ან მუდმივად კეთილგანწყობის განსაკუთრებული მოთხოვნა: რიგში პირველობა, მასწავლებლის კალთაში ჯდომა ან მოფერება. ასეთი არასათანადო მოთხოვნების შესრულება ბავშვებისათვის არ არის სასარგებლო.

ბავშვის მიერ უფროსზე დამოკიდებულების სურვილი ისე უნდა შეიცვალოს, რომ ამით ბავშვის კარგი ქცევა წახალისდეს. ბავშვს, რომელმაც ენთუზიაზმის გარეშე სცადა სათამაშოს მისწვდომოდა და ახლა წუწუნით ითხოვს დახმარებას, უბრალოდ კი არ უნდა მივცეთ ეს სათამაშო, არამედ უნდა წავაქუხოთ, კიდევ სცადოს. სკოლამდელი ასაკის ბავშვს, რომელიც წუწუნებს, დაღლილობას იმიზეზებს და ითხოვს კუბების დაწყობაში დახმარებას, შეიძლება თამაშით ვუპასუხოთ და ვუთხრათ: „თვალს დავხუჭავ და მითხარი, როდის გავახილო. როცა თვალს გავახელ, დავითვლი, რამდენი კუბია თაროზე“. საბავშვო ბაღის აღსაზრდელს, რომელიც მასწავლებელს დაჰყვება, არ შორდება მას და სთხოვს დახმარებას, კარგი იქნება, დაეკისროს მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა – დაეხმაროს უმცროსი ასაკის ბავშვებს.

ზოგიერთ შემთხვევაში ბავშვის ქმედებისთვის სხვა მიმართულების მიცემა საკმარისი არ არის. ასეთ ვითარებაში შესაძლოა, საჭირო გახდეს ბავშვის მიხვედრება, რომ არ გვსურს ისეთი ურთიერთობა, რომელიც მოითხოვს შეუსაბამო დამოკიდებულებას, ავრცელებს ჭორებს, იწვევს მეტისმეტ უკმაყოფილებას ან ისეთ

ქმედებაში ითრევს ადამიანს, რაც მოზრდილებს ან ბავშვებს ერთმანეთის წინააღმდეგ განაწყობს. გაზდა და სხვა მკვლევრები თავიანთ ნაშრომში ამტკიცებენ, რომ „თუხელს შეუწყობთ არასათანადო ქცევას, თუნდაც მხოლოდ დუმილით, თქვენ დახმარების შესაძლებლობას დაკარგავთ და თქვენი სურვილის წინააღმდეგ, უარყოფითი ან ზიანისმომტანი ქცევის მაგალითი გახდებით“.

გაზდა ასევე ამბობს, რომ ამ წესის ქადაგება უფრო იოლია, ვიდრე პრაქტიკაში გატარება, რადგან არასათანადო ურთიერთობა ისე უნდა დასრულდეს, რომ არ გაანაწყენოს ის ადამიანი, ვინც ეს ურთიერთობა დაიწყო. ბავშვის ან მოზრდილის განაწყენებას ნდობის გაქრობა და კომუნიკაციის შეწყვეტა მოჰყვება. რეკომენდებულია ზრდილობიანი, მაგრამ მტკიცე უარი შეუსაბამობაზე, რითაც პირდაპირ, თბილად და თავაზიანად მიანიშნებთ, რომ ზრუნავთ ადამიანზე, როგორც ინდივიდზე (გაზდა და სხვები, 1990).

ტაქტიანობა, სამართლიანობა და სიტბოს გამოხატვა შეუსაბამო ურთიერთობაზე უარის თქმისაგან გამოწვეულ წყენას ანელებს. მოვიყვანთ ერთ მაგალითს: ბატონი ერნანდესი ერთ საღამოს სკოლაში მიდის და ეშხადება ტანვარჯიშის გაკვეთილის ჩასატარებლად. მესამეკლასელი ტყუპი დები, სარა და სინტია, ხალისით ეხმარებიან ხალიჩის გაშლაში და თან საიდუმლოს ანდობენ ბატონ ერნანდესს, როგორ არ მოსწონთ ჯეიმზი, ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად პოპულარული ბიჭი ტანვარჯიშის კლასში.

„ვერ ვიტანთ ჯეიმზს, ის სპილოზე მსუქანია“ ,– თქვა სარამ. „მოგისმენია, როგორ იცინის? ფრუტუნებს და უცნაურ ხმებს გამოსცემს“, – კვერი დაუკრა სინტიამ. ტყუპმა გადაიკისკისა.

ბატონი ერნანდესი უფრთხილდებოდა იმ დადებით ურთიერთობას, რაც მას აკავშირებდა სარასა და სინტიასთან და არ უნდოდა, უხერხულ მდგომარეობაში ჩაეყენებინა დები, მაგრამ ასევე ხვდებოდა, რომ უბრალოდ გაღიმება და დუმილი ჯეიმზის მათეული შეფასების მოწონებად ჩაითვლებოდა. ეს უსამართლობა იქნებოდა ჯეიმზის მიმართ და სარასა და სინტიასაც ვერ ასწავლიდა უკეთესად მოქცევას.

ბატონმა ერნანდესმა ფრთხილად შეარჩია სიტყვები, შემდეგ დაიხარა, ორივე გოგონას მხრებზე ხელები დაადო და მშვიდად უთხრა: „არ მინდა ჯეიმზზე ლაპარაკი, – შემდეგ ტონი აიმაღლა და საუბრის საგანი მოხერხებულად შეცვალა, – მაგრამ, იცით რა, მე მართლა ძალიან მჭირდება თქვენი დახმარება, გოგონებო. შეგიძლიათ ამ დვირს ბოლოში ხელი მოჰკიდოთ და აწევაში დამეხმაროთ?“

ბატონმა ერნანდესმა არ განსაჯა და არ გააკრიტიკა გოგონები. მან მარტივად და ზრდილობიანად თქვა უარი, გამოეთქვა თავისი შეხედულება. გოგონებმა, ალბათ, უხერხულობა იგრძნეს, მაგრამ მიხვდნენ, რომ მასწავლებელს ისინი უყვარდა და მათზე ზრუნავდა. ამ შემთხვევის შემდეგ გოგონები უფრო მეტად დაფიქრდებოდნენ, სანამ სხვებს დასცინებდნენ, არა დასჯის ან გაკიცხვის შიშის გამო, არამედ ტყუილისა და მართლის გარჩევის შინაგანი გრძნობის კარნახით, რომელიც ბატონმა ერნანდესმა უფრო გააძლიერა კარგი მაგალითის მიცემით.

რამდენად შეესაბამება მოსმენისა და დახმარების სტრატეგიები ჩვილ და ახალფეხადგმულ ბავშვებზე ზრუნვას?

სიტყვები და წინადადებები სირთულით აუცილებლად უნდა შეესატყვისებოდეს მსმენელის მოწიფულობის დონეს. თუმცა ეს შეტყობინება შინაარსისა და ერთიანობისაგან არ უნდა იყოს დაცლილი. ფიზიკური მოქმედება, სახის გამომეტყველება, ინტონაცია და ჟესტები ჩვილ ბავშვსაც კი გადასცემს შეტყობინების აზრს.

შინაგანი გრძნობების მიმართვა

ადამიანების უმეტესობა, ვინც ბავშვებთან მუშაობს, დაგვეთანხმება, რომ ბავშვის მოვლა და ადრეული ასაკის ბავშვის სწავლება ძალიან ემოციური სამუშაოა. პატარა ბავშვების ემოციური მდგომარეობა ძალიან სწრაფად იცვლება. თვალის დახამხამებაში მათი სიცილი შეიძლება ცრემლებით შეიცვალოს. ყურადღებიანი უფროსი, რომელიც ჩართულია პატარების ცხოვრებაში, მათთან ერთად ემოციურად განიცდის ახალ აღმოჩენასაც და საუკეთესო მეგობრისგან გულის ტკენასაც, როცა ის ეუბნება: „ვერ გიტან!“

ბავშვის ემოციები ნამდვილია. ექვს თვემდე ასაკის ბავშვს შეუძლია მხოლოდ სამი ერთმანეთის მსგავსი ემოციის გამოხატვა: სიამოვნების, სიფრთხილისა და გაბრაზების. ცხრა თვის ასაკის ბავშვის ემოციების დიაპაზონი მნიშვნელოვნად ფართოვდება. სამი წლის ასაკისთვის ბავშვი უკვე ყველა ადამიანურ ემოციას გამოხატავს (Stroufe, 1979).

ადრეული ასაკის ბავშვების კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილია ბავშვში გრძნობების გაცნობიერების განვითარება და ბავშვის მზარდი შესაძლებლობა, გამოხატოს ეს გრძნობები. ძალიან პატარა ბავშვები გაუცნობიერებლად მოქმედებენ. ახალფეხადგმულ ბავშვს შეუძლია იწუწუნოს და აგრესიულად მოიქცეს ისე, რომ ვერც კი გააცნობიეროს, რომ შია, დისკომფორტს განიცდის ან დაიღალა. უფროსები დიდ როლს თამაშობენ ამ გრძნობების იდენტიფიცირებაში, სახელის დარქმევასა და

ბავშვებისათვის მათ ახსნაში. უფროსები თავიანთი ქცევის შესაბამისი გრძნობების გამოხატვით ბავშვებს მნიშვნელოვან მაგალითს აძლევენ.

რატომ გამოხატავენ უფროსები თავიანთ გრძნობებს?

უფროსებმა გრძნობების გამოხატვისას სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ. პატარა ბავშვებს ძლიერი ემოციები ეუფლებათ, როცა უფროსები ძლიერ გრძნობებს აფრქვევენ მათზე ან მათი გამომეტყველება ძალიან დაძაბულია. გრძნობების მარტივი, მკაფიო გამოხატვა შესაბამის სიტუაციებში ყველაზე ხელსაყრელია. ქვემოთ მოყვანილი განაცხადი, გამოტოვებული, შესავსები ადგილებით, რომელსაც „მე ვაგზავნი შეტყობინებას“ ჰქვია, ძალიან სასარგებლოა მუქარის ტონის გარეშე გრძნობების სათანადოდ გამოსახატად (Gordon, 1970):

როცა ----- მოხდება, მე ვგრძნობ ----- რადგან -----

ამ განაცხადში არ არის ნახსენები სიტყვა „შენ“. ისეთმა გამოთქმამ, როგორცაა, „მაბრაზე“ ან „ყურებს მტკენ შენი ყვირილით“, შეიძლება ბავშვში დანაშაულის მოჭარბებული გრძნობა გამოიწვიოს. ბავშვში პასუხისმგებლობის გრძნობას პოზიტიური კომუნიკაცია აღძრავს და არა დადანაშაულება. გაცილებით სასარგებლოა, უბრალოდ და გულწრფელად ვუთხრათ ბავშვს: „როცა ხმამაღლა ყვირი, ძალიან ვწუხდები, იმიტომ, რომ ყვირილი ყურებს მტკენს. უმჯობესი იქნება, ხმას დაუწიო“. „შენი ნაკბენი ძალიან მაწუხებს, რადგან მტკივა და თან კბენა საშიშია. ვაშლი ან ნამცხვარი უნდა ჩაკბიჩო და არა ადამიანები“.

თუ უფროსები ძლიერი გრძნობების გამოსახატავად ყოველთვის პოზიტიურ და ზომიერ სიტყვებს გამოიყენებენ, ბავშვები, ბოლოს და ბოლოს, მიჰბადვენ მათ და გაბრაზებასა და იმედგაცრუებას, ფიზიკური თავდასხმის ნაცვლად, სიტყვებით გამოხატავენ. ბავშვები უფრო დამთმობები არიან, როცა მოზრდილები ქმედებაზე ბრაზდებიან და არა ბავშვზე.

ამასთან, უფროსებს შეუძლიათ ერთი წინადადებით თავიანთი გრძნობები გამოხატონ და განმარტონ კიდევ. მაგალითად, „როცა ვხედავ, რომ სხვას აძლევ შენს საყვარელ სათამაშოს, ვამაყობ, რადგან ვხვდები, რომ სწავლობ ურთიერთობების დამყარებას“ (დადებით კონტექსტში სიტყვა „შენ“ არ ნიშნავს დადანაშაულებას); „როცა მზე ანათებს, კარგ ხასიათზე ვდგები, რადგან შეგვიძლია, გარეთ გავიდეთ და ხის ქვეშ, ბალახებში ვითამაშოთ“; „როცა დავინახე, რომ კუბურები შენ თვითონ დაალაგე, ბედნიერებისა და სიამაყისაგან ხტუნვა მომინდა“.

გრძნობების დადებითმა და უარყოფითმა გამოხატვამ ბავშვის ქცევაზე ძლიერი ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს იმ შემთხვევაში, როცა ამ გრძნობის

გამომხატველი ადამიანი ბავშვს მოსწონს და მისით აღფრთოვანებულია. არც ბავშვი და არც მოზრდილი ადამიანი არ ინტერესდება იმ ადამიანის გრძნობებით, რომელიც არავის მოსწონს და პატივს არავინ სცემს. ბავშვმა თუ იცის, რომ უფროსს, რომლის მიმართაც ანტიპათიას განიცდის, არ მოსწონს ხმაური, შეიძლება განგებ იხმაუროს, რომ მას აწყენინოს ან მისი ყურადღება მიიპყროს.

როგორ უნდა დავეხმაროთ ბავშვს, რომ გაგვიზიაროს თავისი გრძნობები?

წინა თავში განვიხილეთ გაგებისა და ყურადღების მოთხოვნაზე არაკრიტიკული აქტიური მოსმენა. ასეთი სახის მოსმენა და რეაგირება ბავშვს დაეხმარება, გამოიცნოს, სახელი დაარქვას ან გაიგოს უფროსების გრძნობები. ამ შემთხვევაში ბავშვსა და უფროსს შორის ძირითადი განსხვავება ის არის, რომ ბავშვის გრძნობების შესახებ დასკვნა ხშირად მისი ქცევიდან უნდა გამოვიტანოთ.

კაროლინი ბავშვთა პროფესიული ზრუნვის პროგრამაში ოთხი წლის ასაკობრივი ჯგუფის ბავშვების მასწავლებელი და მომვლელია. როცა მისი ჯგუფის ბავშვები სათამაშო მოედნიდან წასახემსებლად შემოდიან, მათ ეუბნება: „ოჰ, როგორ მშია, შენც გშია, კლეი?“ კლეი ეთანხმება და ბავშვები კაროლინის სიტყვებს ამატებენ: „მგელივით მშიერი ვარ“, „ისე მშია, მთელ ამ შენობას შევჭამდი“, „ისე მშია, მთელ სამყაროს შევჭამდი!“

ბავშვები იცინიან „სამყაროს შეჭმაზე“ და მაგიდასთან სხდებიან. კლეის თავის საუკეთესო მეგობარ მიშასთან დაჯდომა სურს, მაგრამ მისი სკამი ელენმა დაიკავა. კლეი ფეხებს აბაკუნებს, ხმამაღლა გამოთქვამს უკმაყოფილებას და სკამის ზურგს ექაჩება, მაგრამ სკამზე მჯდომი ბავშვი ფეხს არ იცვლის.

კაროლინი ჩხუბის შესაჩერებლად სწაფად მიდის მათკენ. ის დაიხრება კლეისკენ და ეუბნება: „გაბრაზებული ხარ, რადგან ვილაცა იმ სკამზე დაჯდა, რომელიც შენ გინდოდა, შეგიძლია ელენს უთხრა, რას გრძნობ?“

კლეი ყვირის: „ეს სკამი მე მინდა, ახლავე მომეცი!“ ელენი ხელს ჩასჭიდებს სკამს და ყურადღებას არ აქცევს კლეის ყვირილს. კაროლინი მიუბრუნდება ელენს და ეუბნება: „ელენ, შეგიძლია კლეის უთხრა, რას გრძნობ?“ ელენი დაჰყურებს იატაკს და უარყოფის ნიშნად თავს გააქნევს. კაროლინი მას ეკითხება: „გინდა, კლეის მე ვუთხრა, რას გრძნობ?“ ელენი თანხმობის ნიშნად თავს დაუქნევს.

კაროლინი კლეის ეუბნება: „კლეი, ელენი ძალიან ნაწყენია, რადგან შენ მის სკამს ანჯღრევ და უყვირი. ის აქ პირველი შემოვიდა და არ უნდა, რომ სკამი წაართვა“. კლეი ისევ იწყებს სკამის ჯანჯღარს, კაროლინი სკამზე ხელს გააშვებინებს. შემდეგ

ხელებს დაუჭერს და ზრუნვითა და თანაგრძნობით ეუბნება: „კლეი, ვიცი, რომ მართლაც იმედგაცრუებული ხარ, მაგრამ შენ ორი არჩევანი გაქვს: შეგიძლია აირჩიო სხვა სკამი და ისაუზმო, ან გამოხვიდე გარეთ და დამელაპარაკო მანამდე, სანამ თავს უკეთესად არ იგრძნობ, რომელი გირჩევნია?“

კლეიმ გამოცდილებით იცის, რომ კაროლინი ნაზი და მზრუნველია, მაგრამ ისიც იცის, რომ რასაც ამბობს, აკეთებს კიდევ. მას არ მოსწონს აზრი, რომ თავისი გაბრაზების გამო შეიძლება უსაუზმოდ დარჩეს.

კაროლინი ამჩნევს, რომ კლეი ყოყმანობს და ეუბნება: „შეხედე, კლეი, მაგიდის ბოლოს, ჯოის გვერდით, ცარიელი სკამია. გინდა იქ დაჯდომა?“ კლეი გადაწყვეტს, რომ ჯოისთან დაჯდომა არ არის ცუდი აზრი და იქით წაფრატუნდება.

კაროლინი იღიბება და მხრებზე ეფერება.

როგორ შეიძლება დავეხმაროთ ბავშვებს გალიზიანებასთან გამკლავებაში?

ადლერის მიმდევარი ფსიქოლოგები განიხილავენ უარყოფითი ქმედების მოტივებს. მკვლევრები დრეიკურსი და კასელი (1974) ასახელებენ ბავშვის ცუდი ქცევის ოთხ მიზანს, რომელიც საფუძვლად უდევს მათ არასწორ ლოგიკას:

1. ბავშვები, რომლებიც მოკლებული არიან შესაძლებლობას, რაიმე სტატუსით ისარგებლონ, ხშირად ცდილობენ, ყურადღება მიიქციონ სულებლური, უმწეო, მომაბეზრებელი, აუტანელი ქცევით, სიზარმაცით ან უცოდინრობით.
2. ბავშვები, რომლებიც ვერ გრძნობენ, რომ ოჯახში ან სოციალურ ჯგუფში მიღებული წევრები არიან, მბრძანებლობით, ამბოხებით, სიჯიუტით, შურისძიებითა და დაუმორჩილებლობით ცდილობენ ძალაუფლების მოპოვებას.
3. ბავშვები, რომლებიც იმდენად დაჩაგრული არიან, რომ ძალაუფლებისათვის აღარ იბრძვიან, შურისძიებით ცდილობენ სამაგიეროს გადახდას – რომ სხვასაც ისეთივე ტკივილი მიაყენონ, როგორც მათ მიაყენეს. მათ შეიძლება ზიანი მიაყენონ თავიანთ თანატოლებს, ქონებას, გამოხატონ ზიზღი, უნდობლობა და უგულვებლყონ ავტორიტეტები.
4. ბავშვები, რომლებიც პასიური და დესტრუქციული ყურადღების ქვეშ არიან და ბევრ შენიშვნას იღებენ, ისეთი იმედგაცრუებულნი ხდებიან, რომ ბოლოს შეიძლება იმედი სულ დაკარგონ და მხოლოდ მარცხისა და წარუმატებლობის

მოლოდინში იყვნენ. ისინი მარტო დარჩენას ცდილობენ და შეიძლება გახდნენ პასიურები, თავის თავში ჩაკეტილები, დეპრესიულები და არასრულფასოვნებისა და უიმედობის გრძნობით პარალიზებულნი.

დრეიკურსი აცხადებს, რომ უფროსი ასაკის ბავშვების დაპირისპირება სხვა ადამიანებთან უფრო მეგობრული და არაკრიტიკულია მშვიდ სიტუაციაში, ვიდრე კონფლიქტის დროს. ბავშვი შეიძლება ჩავრთოთ საუბარში, გამოვიკვლიოთ ტიპური ქცევის მოტივები და შემდეგ ტაქტიანად დავუსვათ შემდეგი კითხვები:

- იქნებ ყურადღების მიქცევა გასურს?
- იქნებ დამოუკიდებლობა გინდა და უფროსობის იმედი გაქვს?
- შეიძლება გინდა, სხვებს ისე აწყენინო, როგორც შენ გაწყენინეს?
- შეიძლება მარტო დარჩენა გასურს?

ჩვილებისთვის ამ კითხვების დასმა, რა თქმა უნდა, არ არის მიზანშეწონილი, მაგრამ უფროსებს ეს შეკითხვები დაეხმარება სამ წლამდე ასაკის ბავშვების ცუდი ქცევის შესაძლო არაცნობიერი მიზეზების გაგებაში. ნებისმიერი ასაკის ბავშვისათვის ქცევის მამოტივირებელი შინაგანი გრძნობების განსაზღვრა არა მხოლოდ ბავშვის სიმპტომური ცუდი ქცევების აღმოფხვრის, არამედ მისი ემოციური კეთილდღეობის უზრუნველყოფის შესაძლებლობას იძლევა.

როცა ქცევის მოტივი გაირკვევა, უფროსებს ცუდ ქცევაზე უკეთესად რეაგირება შეეძლება. თუ ცუდი ქცევის მიზანი ყურადღების მიქცევაა, არასწორი საქციელისთვის ბავშვებს ყურადღება არ უნდა მივაქციოთ, სამაგიეროდ, კარგი და კონსტრუქციული ქცევა დიდი გულისხმიერებით უნდა იქნეს დაჯილდოებული. თუ მიზანი დაშინებაა, უფროსებმა უნდა დათმონ ძალაუფლება და კონცენტრაცია გააკეთონ იმაზე, რომ ბავშვებმა თავი საზოგადოების პატივსაცემ და დაფასებულ წევრებად იგრძნონ. თუ მიზანი შურისძიებაა, უფროსები უნდა დაეხმარონ ბავშვებს მეგობრების შეძენასა და წარმატების მიღწევაში. თუ მიზანი მარტობაა, უფროსმა უნდა გაამხნევოს ბავშვი, დაულალავად უნდა ცდილობდეს, მიიღოს თავის წრეში და მოკებნოს გზები, რომ ბავშვმა თავი ღირებულად იგრძნოს.

ბავშვების ქცევის მოტივის ძიებითა და არა მათი დადანაშაულებით, უფროსებს ეძლევათ შესაძლებლობა, ახალი კარი გაუღონ ბავშვებს კომუნიკაციისათვის. ასაკისა და გათვითცნობიერებულობის მატებასთან ერთად, ღია კომუნიკაცია დაეხმარება ბავშვებს, იგრძნონ პასუხისმგებლობა თავიანთ ქცევასა და არჩევანზე. იმ დროისათვის, როცა ბავშვები მოზრდილ ასაკს მიაღწევენ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გააცნობიერონ თავიანთი ქმედების მოტივები და მიზნები.

გახსნილი, გულწრფელი კომუნიკაცია უნდა გახდეს ბავშვის ყოველდღიური ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი.

პოზიტიური მითითებები ნეგატიური მითითებების წინააღმდეგ

პოზიტიური კომუნიკაციის ძირითადი ფაქტორია კონცენტრირება სასურველი ქცევის განსაზღვრასა და განმტკიცებაზე და არა შეუფერებელ ქცევაზე. ბავშვები და უფროსები უფრო ხალისით რეაგირებენ პოზიტიურ თხოვნაზე, ვიდრე უარყოფით შენიშვნებზე. მაგალითად, მშობელი უფრო გულისხმიერად მოეკიდება ბავშვის მომვლელის ნათქვამს: „ძალიან გთხოვთ, შეამოწმეთ, კელის დღეს საკმარისი საფენი აქვს თუ არა“, ვიდრე, რომ ეთქვა: „თქვენ საკმარისი საფენები არასოდეს მოგაქვთ კელისთვის“. პოზიტიურ და ნეგატიურ მოთხოვნებზე ბავშვის რეაქციები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ამასთან, ახალფეხადგმული ბავშვები იმდენად შეზღუდულად აღიქვამენ ენას, რომ წინადადებაში მხოლოდ ძირითადი სიტყვები ესმით და მათზე რეაგირებენ. თუ მოზრდილი ეტყვის ახალფეხადგმულ ბავშვს: „არ მინდა, რომ ნამცხვარი აიღო“, მან შეიძლება გაიგონოს სიტყვები: „მინდა... აღება... ნამცხვარი...“ და ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, თუ ბავშვს ნამცხვრის აღება სურს, ალბათ, აიღებს კიდეც. უფროსს შეეძლო, ნამცხვრის აღების სურვილის სასურველი ქმედებით შეცვლით უკეთესი კომუნიკაცია დაემყარებინა, ქალაღი და ფერადი ფანქრები დაედო ნამცხვრისგან მოშორებით და ეთქვა: „გააფერადე ეს დიდი ფურცელი“, რომელსაც ბავშვი გაიგებდა შემდეგნაირად: „გააფერადება... დიდი... ფურცელი“.

ახალფეხადგმულ და სკოლამდელ ბავშვებს უჭირთ წინადადებაში ყველა სიტყვის გაგება, მათ ასევე უჭირთ ქცევაზე დაფიქრება და თავის შეკავება ამ ქცევისაგან. ფიქრი და ქმედება განვითარების ამ ეტაპზე თითქმის განუყოფელია ერთმანეთისაგან. მაგალითად, როცა უფროსი მკაცრად ეუბნება ბავშვს: „არ გადმოაფურთხო“, ბავშვმა, რომელიც გადმოაფურთხებას საერთოდ არ აპირებს, შესაძლოა ორივე სიტყვა გაიგოს და იმის გამო, რომ ფიქრობს, არ გადმოაფურთხოს, ალბათ, მაინც გადმოაფურთხებს. გაფრთხილებით – „შარვალში არ ჩაისველო“ – ბავშვის წარმოსახვაში სველი შარვლის ასოციაცია ჩნდება, რამაც შესაძლოა მართლაც გამოიწვიოს ჩასველება. უმჯობესია გაფრთხილება ასეთი ტექსტით შევცვალოთ: „ღამის ქოთნის გამოყენების დროა“, რადგან ეს უკვე ტრადიციულ სარგებლობის ასოციაციას უჩენს ბავშვს.

პოზიტიური და ნეგატიური მითითებების ჩამონათვალი:

ნეგატიური მითითებები

პოზიტიური მითითებები

არ ირბინო ოთახში

გთხოვ, ნელა იარე

არ დააქციო რძე

გთხოვ, ორივე ხელი მოჰკიდე ჭიქას

არ დაარტყა ჯიმის

ხელები კალთაში ჩაიწყვე

გაჩუმდი

გთხოვ, წყნარად მომისმინე

არ შემაწყვეტიონო

ახლა ჩემი ლაპარაკის ჯერია

როცა ჭამ, ნუ ლაპარაკობ

ჯერ გადაყლაპე, მერე ილაპარაკე

რიგში ხელი არ ჰკრა ბავშვს

გთხოვ, ფრთხილად იარე

ნუ გაჰყვირი ჩემს სახელს

ჩემი სახელი წყნარად წარმოთქვი

ნეგატიური მითითება ბევრ ჩვენგანს ჩვევის სახით ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი. ნებისმიერი ჩვეულების შესაცვლელად დიდი ძალისხმევა, მოტივაცია და სიმტკიცეა საჭირო და კომუნიკაციის ჩვევაც არ არის გამონაკლისი. ბევრი მოზრდილი ხვდება, რომ როცა კომუნიკაციის სტილის გაუმჯობესებას ცდილობს, თავდაპირველად არაეფექტური ფრაზების გამოყენებას იწყებს და შემდეგ გადაჩვევა უჭირს. ახალფეხადგმული ბავშვი, რომელიც გუბეში დგას, გულუბრყვილო და გაკვირვებული სახით და ამბობს: „ტუალეტში ვარ“, პირველ საცდელ ნაბიჯს დგამს ჩვევის შესაცვლელად. მოზრდილი ადამიანი, რომელიც დამნაშავედ გრძნობს თავს იმის გამო, რომ ბავშვს დაუყვირა: „გაჩუმდი!“, ასევე პირველ ნაბიჯს დგამს არაეფექტური კომუნიკაციის სტრატეგიის შეგნებულად გაკონტროლებისა და შეცვლისკენ.

მტკიცებითი კომუნიკაციის მახასიათებლები

კომუნიკაცია ყოველთვის გადასცემს შეტყობინებას, ისევე, როგორც რადიოგადამცემი გადასცემს რადიოპროგრამას. რადიოპროგრამით, ვთქვათ, მუსიკის გადმოსაცემად გადამცემის ტალღები უნდა შეესაბამებოდეს რადიომიმღებს. უფროსისგან წამოსული კომუნიკაცია ბავშვის გონებრივ და ემოციურ წყობას უნდა შეესაბამებოდეს, სხვა შემთხვევაში შეტყობინება არ იქნება მიღებული.

ბავშვებიც და უფროსებიც თავს არიდებენ გაუგებარ, მუქარის შემცველ, ბუნდოვან ან უხეშ კომუნიკაციას, ისე როგორც რადიოს არასასიამოვნო ხმას ჩავუწყევთ ან სულაც გამოვრთავთ ხოლმე. თუმცა ზოგიერთი ადამიანი შესაძლოა გამართლებულად თვლის სხვისთვის ჭკუის დარიგებას ან კრიტიკას, მაგრამ აზრი არა აქვს შეტყობინების გადაცემას, თუ ეს შეტყობინება უარყოფილი იქნება. ჩვენი მიზანია შეტყობინების მიღება და ქმედება.

მტკიცებითი კომუნიკაციის ძირითადი ფაქტორები

სიმარტივე მტკიცებითი კომუნიკაციის პირველი წესია.

ჩვილებს, ახალფეხადგმულ და ოდნავ მათზე უფროს ბავშვებს საკმაოდ დრო სჭირდებათ, უფროსების რთული ენის რიტმი და დინება რომ გაიგონ, ამიტომ მტკიცებითი განცხადება მოკლე და კონკრეტული უნდა იყოს. გადაწყვიტეთ, რა უნდა თქვათ და გამოთქვით, რაც შეიძლება მოკლედ. არეულ-დარეული საუბარი ხელს უშლის სასურველ ქცევას.

რაც უფრო პატარაა ბავშვი, მით უფრო მნიშვნელოვანია სიმარტივე. ახალფეხადგმულ ბავშვთან კომუნიკაციისათვის საჭიროა ორ- ან სამსიტყვიანი წინადადებები, როგორცაა, მაგალითად, „გთხოვ, დაჯექი“ ან (თუ ბავშვი ვინმეს კბენს) „არ უკბინო, ეტკინება“. სკოლამდელ ბავშვებს ოდნავ გრძელი წინადადებებით უნდა მივმართოთ, მაგალითად: „ვაშლი უნდა ჭამო და არ უნდა გადააგდო“, „ჭიქა ორივე ხელით დაიჭირე“ ან „სკამზე უნდა დაჯდე და არა დადგე“.

გულწრფელობა აუცილებელია მტკიცებითი კომუნიკაციისათვის

ბავშვები სწრაფად ხვდებიან, როცა უფროსები სხვა რამეს ამბობენ და სხვას გულისხმობენ. ფუჭი მუქარა საპირისპირო ნაყოფს გამოიღებს. ის ბავშვებს მხოლოდ იმას ასწავლის, რომ უფროსების ნათქვამს შეიძლება არ ენდო, არა აქვს მნიშვნელობა, რამდენჯერ იტყვიან, ამჯერად ნამდვილად ასე ვფიქრობო. მიუღებელია ბავშვებისთვის ტყუილის თქმა ან მოტყუებით დათანხმება. მათ გულწრფელად უნდა ვუთხრათ, როცა, ვთქვათ, მშობელი მიდის, არა აქვს მნიშვნელობა, ამის გამო

იტირებს თუ არა. მოწყენა ბუნებრივი და ჯანსაღი რეაქციაა, ტყუილში ყოფნა კი – არა.

პირდაპირობა ეხმარება კომუნიკაციას მიზნის მიღწევაში

აბნეული, ქარაგმული და შემპარავი ლაპარაკი უფროსი ასაკის მსმენელისთვისაც ხშირად გაუგებარია და ბავშვებისთვის ხომ საერთოდ უსარგებლოა. იმის ნაცვლად, რომ ბავშვებს ვუთხრათ: „ბავშვებო, თქვენი ხელოვნების მაგიდა ძალიან არეულია“, სჯობს, დავავალოთ: „ბავშვებო, აიღეთ ქალაქის ნაჭრები და ნაგავში ჩაყარეთ, გმადლობთ. ახლა აიღეთ ღრუბელი და გადაწმინდეთ მაგიდა“. იმის მაგივრად, რომ ბავშვებს შენიშვნა მივცეთ: „არ იხმაუროთ“, უნდა ვუთხრათ: „ფრთხილად იარეთ და ხმადბლა ილაპარაკეთ“. ბავშვებთან კომუნიკაციისას გამოყენებული სიტყვები ზუსტად უნდა გამოხატავდეს მათ მნიშვნელობას.

ტაქტიანობა კომუნიკაციის არხებს ხსნის

ჩვეულებრივ, თავაზიანობა ბავშვებსაც სიამოვნებთ და უფროსებსაც, მაგრამ ამავე დროს ძალიან მნიშვნელოვანია ტაქტიანობა და გულწრფელობა. ტაქტიანი ნათქვამია, მაგალითად, „შენი ჭიქა შეიძლება გადმოვარდეს მაგიდიდან. გთხოვ, გასწიე ნაპირიდან, გმადლობ“. უტაქტო ნათქვამია: „ნუ ხარ ასეთი დაუდევარი, ჭიქას გადმოაგდე“. გადაჭარბებულ მზრუნველობას გამოხატავს ნათქვამი: „საყვარელო, შენი ჭიქა გვერდით გავწიოთ, რომ არ დაიღვაროს, კარგი?“ ბავშვებს თბილად და სიყვარულით უნდა მოვექცეთ, მაგრამ ამაშიც ზომიერებაა საჭირო.

დაკონკრეტება კომუნიკაციას უფრო გასაგებს ხდის

აბსტრაქტული ცნებები, როგორცაა, ვთქვათ, „კარგი“ ან „ცუდი“, შეიძლება დამაბნეველი იყოს ბავშვებისათვის. მაგალითად, ბავშვისთვის იმის მტკიცებამ, რომ ტყუილი ცუდია, შეიძლება მას აფიქრებინოს, რომ ცუდი ადამიანია. უფრო კონკრეტული იქნება, ვთქვათ, ასეთი ფრაზა: „ტყუილს თუ იტყვი, შეიძლება სხვა ადამიანები არ გენდონ. ისინი აღარ დაგიჯერებენ, რაც არ უნდა თქვა“. უფრო პატარა ბავშვებთან დაკონკრეტება მოქმედებით უნდა გამოვხატოთ. ნაკლებად კონკრეტული იქნება, ახალფეხადგმულს ვუთხრათ: „კარგად მოექეცი შენს მეგობრებს“. ახალფეხადგმულ ბავშვს სიტყვა „კარგის“ ცნება არ ესმის. ეს ბუნდოვანი, გაურკვეველი მნიშვნელობით დატვირთული სიტყვაა, რომელზედაც აბსოლუტურად ერთნაირი ახსნა ორ მოზრდილ ადამიანსაც კი შეიძლება არ ჰქონდეს. ახალფეხადგმული ბავშვი ზუსტად ვერ ხვდება, რა უნდა გააკეთოს, კარგი რომ იყოს. უფრო კონკრეტული იქნება, თუ ბავშვს ვეტყვით: „ფრთხილად შეეხე“ და საჩვენებლად ფრთხილად შევეხებით მისი მეგობრის ხელს. ახალფეხადგმული ბავშვი დაინახავს და მიხვდება, როგორ ქმედებას ელით მისგან.

პატივისცემა მტკიცებითი კომუნიკაციის განუყოფელი ნაწილია

ბავშვების მიმართ პატივისცემა გამოიხატება მათი ღირსებისა და უფლებების აღიარებასა და დაცვაში. თავაზიანი უფროსები ბავშვებს წესებს გაბრაზების, დამცირების, შერცხვენის ან ძალადობის გარეშე უდგენენ. ისინი ყურადღებას ამახვილებენ ბავშვის ქცევის გამოსწორებაზე და არა მის დასჯაზე.

ოპტიმიზმი აძლიერებს თანამშრომლობის სურვილს

ბავშვი, რომელიც ცდილობს თავდაჯერებულ უფროსთან ურთიერთობის მოგვარებას, უნდა გაიგოს, უფროსს ნამდვილად სჯერა თუ არა, რომ ის ამას მიაღწევს. დაპირისპირება სუსტდება და უფრო მისაღები ხდება, თუ დავიჯერებთ, რომ პრობლემების გადაჭრა შესაძლებელია. ჯენიფერს დაპირისპირების შემდეგ შეიძლება ვინმემ უთხრას: „ჯენიფერ, ყველა უშვებს შეცდომას, ჩვენ ჩვენს შეცდომებზე ვსწავლობთ. ალბათ, ხვალ შენ უკვე შეძლებ შენზე უმცროს ბავშვებზე ზრუნვას და თვითონ შეახსენებ მათ, რომ ნებართვის გარეშე ჭიშკრის გარეთ არ უნდა გავიდნენ“.

მოქნილობა აუცილებელია სიმტკიცის სიჯიუტისაგან გასარჩევად

არა აქვს მნიშვნელობა, რამდენად მტკიცედ იცავს და ასრულებს ადამიანი სამოქმედო გეგმას. ყოველთვის ჩნდება რაღაც ინფორმაცია, რომელიც გეგმის შეცვლის საჭიროებას გვიჩვენებს. ბავშვებთან თანამიმდევრულობაა საჭირო, რომ გაიგონ, რას ველით მათგან, მაგრამ ეს მოქნილობის საჭიროებას არ ეწინააღმდეგება (მნიშვნელოვანია მათ შორის ბალანსის მოძებნა). ბავშვის ქცევის ეფექტური, თავდაჯერებული მართვისათვის საჭიროა, უფროსები თანამიმდევრულები იყვნენ და, იმავდროულად, იმდენად მოქნილები, რამდენადაც საჭიროა, რომ დისციპლინა ჰუმანური და ჭკვიანური იყოს.

მოზრდილებმა მუდმივად უნდა ეძებონ ბალანსი მკაცრ, პროგნოზირებად ზღვარსა და მოქნილობას შორის, რომ მოუსმინონ, გაიგონ და, შესაბამისად, კომპრომისზე წავიდნენ. მაგალითად, როცა ბავშვი ცდილობს აურზაურის ატეხას და ცუდად იქცევა, უფროსმა შეიძლება უარი თქვას მასთან მოლაპარაკებაზე და არავითარ კომპრომისზე არ წავიდეს. მოგვიანებით, როდესაც ბავშვი დამშვიდდება და უფროსი შეძლებს, ლოგიკურად აუხსნას მას, რატომ უნდა დამორჩილდეს წესებს, მან შეიძლება გადაწყვიტოს, რომ შემდგომში სამართლიანი იქნება დათმობა და ამ წესებზე უარის თქმა. რამდენად სამართლიანი და გონივრულია ესა თუ ის წესი, უფროსები პატარა ბავშვებზე დაკვირვებით წყვეტენ და არა მათთან ამ წესების განხილვით.

ნდობა აძლიერებს მტკიცებით კომუნიკაციას – აძლიერებს რწმენას, რომ რასაც ვამბობთ, იმას ვგულისხმობთ

ბავშვები განსაკუთრებით მგრძობიარენი არიან სახის გამომეტყველების, ინტონაციის, სხეულის მდგომარეობის, ხელის ან ფეხის მოძრაობით გამოხატული უსიტყვო სიგნალების ან მინიშნებების მიმართ. უფროსები, რომლებსაც არ სჯერათ, რომ ბავშვები გააკეთებენ იმას, რაც მათ სთხოვეს, ქმნიან გაურკვევლობისა და სისუსტის ატმოსფეროს. ნდობა საგრძობლად გაზრდიდა როგორც ბავშვის, ისე ნებისმიერი ასაკის მსმენელის თანხმობის შესაძლებლობას. მოუსვენრობა, სუსტი ან უსიამოვნო ხმით ლაპარაკი, თვალის არიდება, ბავშვს ახვედრებს, რომ უფროსთან შეთანხმებას არ უნდა ელოდოს.

როცა უფროსი ბავშვს სარკასტულად ეუბნება: „აბა, ვნახოთ, სანამ ექიმს ველოდებით, შეძლებ თუ არა თავის შეკავებას, რომ არ იყო პატარა მონსტრი, არ ირბინო და არ დახიო ყველაფერი“, ბავშვი ხვდება, რომ მისგან ცუდ საქციელს ელიან. ამის ნაცვლად, თავდაჯერებულ მოზრდილს შეეძლო ეთქვა: „აიღე ეს წიგნი და დაათვალიერე, სანამ ექიმს ველოდებით. ჩვენ წყნარად უნდა ვისხდეთ. ექიმის მისაღებში არ შეიძლება ხმაური და ცელქობა“. ასეთი მიმართვა ბავშვს არწმუნებს, რომ უფროსს სჯერა მისი; სჯერა, რომ ის კარგად მოიქცევა.

შეუპოვრობა ხელს უწყობს მტკიცებით კომუნიკაციას

დასჯა, მუქარა ან დაშინება სწრაფ ზედაპირულ შედეგს გვაძლევს, მაგრამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვნებს დისციპლინას. მტკიცებითი კომუნიკაცია ყოველთვის ვერ გამოიღებს მყისიერ ნაყოფს, მაგრამ შეუპოვრობა დროთა განმავლობაში პრობლემის გადაწყვეტის ეფექტური და მტკიცე საშუალებაა. უფროსები ხანდახან ცდუნებას ვერ უძლებენ, რომ ბავშვების მოთხოვნას დაემორჩილონ, როცა კომუნიკაციის პირველი მცდელობა უშედეგოა. თუმცა შეუპოვრობას დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია, თუ ბავშვებს საშუალებას მივცემთ, გაიგონ, რეალურად რას ვგულისხმობთ ჩვენ მიერ ნათქვამი სიტყვებით. ბავშვი შესაძლოა ჯიუტად არ დაემორჩილოს რამე წესს, მაგრამ თუ დაჟინებით გავუმეორებთ, რას ველით მისგან, საბოლოოდ აუცილებლად დავითანხმებთ. როგორც კურდღლისა და კუს შეჯიბრების ზღაპრულ ამბავშია, შეჯიბრებას იგებს ნელი და შეუპოვარი.

ემპათია და სიმტკიცე ერთად, შესაძლოა, ძნელი მოსააზრებელია, მაგრამ რეალურად ეს ძალიან მნიშვნელოვანია

თანაგრძნობა სხვისი შეცოდებაა, ხოლო ემპათია – სხვათა გრძნობების გათავისება. სიმტკიცე ემპათიის გარეშე ყალბი და არაფრისმომცემია, ემპათიასთან ერთად კი – ძალა და ერთიანობა. ბავშვი, ჭუჭყიანი ხელებითა და ცინგლიანი ცხვირით, ყოველთვის როდი აღძრავს მშობლებსა და აღმზრდელებში სიბოძასა და ემპათიას. ამის მიუხედავად, ეფექტური კომუნიკაცია გულწრფელ გაგებასა და მზრუნველობას მოითხოვს. ემპათია, უპირველესად, თვალებითა და სახის გამომეტყველებით გადაეცემა მსმენელს, თუმცა მისი გამოხატვა სხვა სიტყვიერი და უსიტყვო მინიშნებებითაც შეიძლება (ან მათ გარეშეც).

მაგალითად, ემპათიის გამოსახატავად, უფროსებმა, შესაძლოა, საყვედურები პოზიტიურად დაიწყონ. მაგალითად, უფროსმა შეიძლება ბავშვი ხელში აიყვანოს და უთხრას: „ვიცი, ახლა ფისოსთან თამაში გინდა, მაგრამ ფისოს ეშინია, როცა კუდში სწვდებიან ხოლმე. არ გინდა, აჭამო და ამით აჩვენო, რომ მისი მეგობარი ხარ?“

არაპროდუქტიული კომუნიკაციის ნიშან-თვისებები

უფროსები ბევრ სხვადასხვა კომუნიკაციის სტილს იყენებენ. რა თქმა უნდა, ზოგიერთი მეტად ეფექტურია, ზოგი – ნაკლებად. ყველაზე ნაკლებეფექტური სტილის კომუნიკაცია ზედაპირულია და რეაგირებას ვერ ახდენს იმ პიროვნების გრძნობებსა და ემოციებზე, რომელიც კომუნიკაციაში ერთვება. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ უფროსები თავს არიდებენ კომუნიკაციების ხარვეზებს, რაც ხელს უშლის დიალოგს და ბავშვის (ან ნებისმიერი ასაკის ადამიანის) გაუცხოებას იწვევს.

გაზდა და სხვა მკვლევრები თავიანთ ნაშრომში (1990) არაეფექტური კომუნიკაციის ცხრა გავრცელებულ სტერეოტიპს ასახელებენ:

1. ფლორისტი – მაღალფარდოვანი ევფემიზმების საშუალებით თავს არიდებს მთავარ საკითხებს;
2. დეტექტივი – გვერდს უვლის მთავარ საკითხებს გამუდმებული კითხვებითა და ჩაძიებით;
3. ჯადოქარი – ჯადოსნური ჯოხის საშუალებით აქრობს პრობლემებს;
4. სასწავლო სერჟანტი – მკაცრი ბრძანებებით თავიდან ირიდებს კონფლიქტს;

5. ბრიგადირი – პრობლემებს ფარავს სხვების იძულებითი დასაქმებით;
6. ჯალათი – პრობლემების თავიდან არიდების მიზნით იწვევს დანაშაულის გრძნობას;
7. გურუ – ყველა შემთხვევისათვის პრობლემის გადასაჭრელად მზად აქვს კლიშე;
8. სწავლული – პრობლემებს ცუდი შედეგების პროგნოზირებით ნიღბავს;
9. სიმბოლოების მხატვარი – თავიდან იშორებს პრობლემებს მათთვის იარლიყების მიწებებით.

თუმცა ორგანიზაციის სტერეოტიპები ვერ ასახავს რეალური ადამიანის რთულ ბუნებას. ის გვეხმარება, განვსაზღვროთ ის ადამიანური ნიშან-თვისებები, დროდადრო რომ იჩენს თავს. კომუნიკაციაში ერთი სტერეოტიპი შეიძლება დომინანტური იყოს, რაზეც ადამიანი რეაგირებას ახდენს, მაგრამ იქვე სხვა სტერეოტიპების მარცვალაც შეგვიძლია დავინახოთ. სტერეოტიპების ამგვარი კლასიფიკაციის მიზანი ბავშვის ან მოზრდილისთვის იარლიყის მიკერება კი არ არის, არამედ არაეფექტური კომუნიკაციის სტილის უკეთ გაცნობა და გაგება.

როგორ რეაგირებენ ამ სტერეოტიპებით მოქმედი ადამიანები იმ პრობლემურ სიტუაციებში, რომლებშიც ბავშვები და უფროსები არიან ჩართული

ფლორისტები უბრალოდ პრობლემებს ვერ ამჩნევენ. თუ ბავშვი ამბობს, რომ მას მეორე ბავშვმა აწყენინა, ფლორისტი მას ამშვიდებს: „სუზი, დარწმუნებული ვარ, მას არ უნდოდა შენი წყენინება!“ თუ ცრემლიანი ბავშვი ქვითინებს: „ვერ ვიტან დედაჩემს“, ფლორისტი მასწავლებელი იღიმება და ეუბნება: „რა თქმა უნდა, შენ არ გძულს დედაშენი, ბავშვებს არ სძულთ დედები“. ფლორისტი ხშირად კარგავს კომუნიკაციის შესაძლებლობას, რადგან, იმის მაგივრად, რომ გაეცნოს და შეისწავლოს პრობლემები, მათ გადაჭარბებული ოპტიმიზმით უდგება.

დეტექტივებს სურთ პასუხი შემდეგ კითხვებზე: „რატომ გააკეთე ეს?“, „პირველად ვინ გააკეთა ეს?“, „ხომ გითხარით, ეს არ გააკეთოთ-მეთქი?“, „რას ფიქრობთ, რა უნდა გავაკეთოთ ახლა?“. მსმენელი იბნევა კითხვების სიმრავლით, იმავდროულად, ვერც ცდუნებას უძლებს, იცრუოს ან უპასუხოს ისე, როგორც დეტექტივს სურს.

ჯადოქარი მოხერხებულად ასრულებს კამათს პრობლემებზე. თუ ბავშვი ამბობს: „ვიღაცამ საქანელიდან გადმომაგდო“, ჯადოქარი დემონსტრაციულად პასუხობს: „დიახ, მაგრამ თამაშის დრო დასრულდა, ასე რომ, ახლა ამას მნიშვნელობა არა აქვს, არა?“ როცა მამა წუხს, რომ ბავშვის საწოვარა დაიკარგა, ჯადოქარი პასუხობს: „არა უშავს, სარას არ სჭირდება საწოვარა, ერთი-ორი საათი იტირებს და მერე დაავიწყდება“.

სასწავლო სერჟანტებს არა აქვთ კომუნიკაციის დრო, ისინი ბრძანებების გაცემით არიან დაკავებული. ბაღის მასწავლებელს სათამაშო ოთახიდან ესმის გაცხარებული კამათის ხმა. ის სასწავლო სერჟანტია და, წამახალისებელი კომუნიკაციის ნაცვლად, ბავშვებს ეუბნება: „აიღეთ ეს კუბები იატაკიდან! კალებ, პერანგი გაისწორე! სამანტა, ეს პრობლემები არ გექნებოდა, ყურადღებით რომ ყოფილიყავი და შენი საქმისთვის მიგეხედა!“

ბრიგადირი ყველას ისე ასაქმებს, რომ მათ აღარ შეუძლიათ პრობლემებზე ფიქრი. დედა თავისი ბავშვის საბავშვო ბაღის მასწავლებელს გაანდობს თავის დარდს, რომ ქმარმა მიატოვა და სამსახურიც დაკარგა. ბრიგადირი მასწავლებელი ეუბნება: „სახლიდან უნდა გამოხვიდე და საკუთარი თავის შეცოდება შეწყვიტო. ხატვის გაკვეთილებზე დაიწყე სიარული, საავადმყოფოში მოხალისედ იმუშავე ან კიდევ წვეულება მოაწყვე“. ახალგაზრდა ქალი კიდევ უფრო დათრგუნული და დანაშულის გრძნობით შეპყრობილი ბრუნდება უკან.

ჯალათი მკაცრად აკრიტიკებს სხვებს დანაშაულისათვის. ჯალათის საყვარელი ფრაზაა: „არ მიკვირს, იცი, რომ ეს შენი ბრალია“. როცა ჯეიმიმ თავის დაწყებითი კლასის ჯალათ მასწავლებელს, ქალბატონ ჯუდის, სთხოვა, დახმარებოდა თავისი სახელის დაწერაში, მან უპასუხა: „წინა კვირას რომ ყურადღებით მოგესმინა, გეცოდინებოდა, როგორ გაგეკეთებინა ეს“. როცა დირექტორი სთხოვს ქალბატონ ჯუდის, დაეხმაროს სკოლაში ახალმიღებულ ბავშვს, რომელიც დედას გაეტირა, ის ეუბნება დირექტორს: „რა თქმა უნდა, ტირის, აბა, სხვას რას ელოდი მისგან. დედამისს თავის ნებაზე ათამაშებს და მისი ბრალია, ბავშვი რომ ტირის“.

გურუს გონებაში უამრავი უაზრო კლიშე უტრიალებს, რომ პრობლემები ვარდის ფურცლებივით გაფანტოს. დედა თავისი ახალფეხადგმული ბავშვის ბაგა-ბაღის მასწავლებელს ეკითხება, როგორ ფიქრობს იგი, სჭირდება თუ არა მის ბავშვს მეტყველების თერაპია. გურუ გამოთქმით პასუხობს: „დროზე გაკერვა ცხრა კაცს გადაარჩენს“. ცხრა წლს ბავშვი ეკითხება თავის გურუ მამას, რატომ აქვთ ქვეყნებს ისეთი საშიში ნივთები, როგორიცაა ბირთვული ბომბი. მამა პასუხობს: „სულ მცირე პრევენცია სრული განკურნების ტოლფასია“. ოთხი წლის ბავშვი ტირის: „არავის ვუყვარვარ, მეგობრები არა მყავს“. გურუ მასწავლებელი პასუხობს: „შენ თვითონ

უნდა იყო მეგობარი, რომ მეგობარი გყავდეს“. გურუს პასუხები ხელს უწყობს დიალოგის შეწყვეტას და არა პრობლემების წვდომასა და მათ გაგებას.

სწავლული გასაჭირის დროს ნამდვილად ვერ დაგამშვიდებთ. ის ყოველთვის მზადაა, თანამოსაუბრის ქმედების ყველაზე საშინელი და უიმედო შედეგი იწინასწარმეტყველოს. როცა თითში ხიჭვმესობილი სამი წლის ბავშვი სახლში ტირილით შერბის, სწავლული დედა ეუბნება: „გეუბნებოდი, რომ არ გეთამაშა აიწონა-დაიწონა, ახლა ინფექცია შეგეჭრება თითში და მე ექიმისთვის ბევრი ფულის გადახდა მომიწევს. შეხედე, შენი ფრჩხილი შავდება და, ალბათ, მალე მოგძვრება კიდეც“. კლასიკურ სწავლულს ეკუთვნის გამონათქვამი: „ჯონი, როცა დაეცემი და ორივე ფეხს მოიტეხ, არ მთხოვო დახმარება“.

სიმბოლოების მხატვარი სწრაფად წყვეტს პრობლემებს მათთვის იარლიყების მიწებებით. საბავშვო ბაღის მასწავლებელი შესჩივლებს თანამშრომელს, რომ ერთ-ერთი მისი აღსაზრდელი ახალფეხადგმული ბავშვი გალიზიანებულია. სიმბოლოების მხატვარი თანამშრომელი მხრებს აიჩივს და ეუბნება: „არ ვიცი, რა უნდა ქნა. ის უბრალოდ ასეთია“. მარტოხელა დედა თავისი ბავშვის აღმზრდელს ეუბნება: „არ ვიცი, რა ემართება ჩემს შვილს, სულ იმას ცდილობს, ირგვლივ ყველას და ყველაფერს აწყენინოს“. სიმბოლოების მხატვარი მხრებზე ხელს დაადებს და ეუბნება: „ყველა ჰიპერაქტიური ბავშვი ამას აკეთებს“. სიმბოლოების მხატვარი აფერხებს კომუნიკაციას. როცა ის საბოლოოდ მიაკერებს იარლიყს პრობლემას, მისი განხილვის მიზეზიც აღარ რჩება.

თუ კომუნიკაციის ეს სტერეოტიპული სტილები არაეფექტურია, მაშინ რომელი სტილი გამოდგება?

ზემოთ ხსენებული თითოეული სტერეოტიპული კომუნიკაციის მონაწილე თავს არიდებს, უარყოფს ან ამახინჯებს გრძნობებს. ეფექტური და გულისხმიერი თანამოსაუბრე გრძნობებს ყურადღებით, პატივისცემით და გულწრფელად ეპყრობა. ხშირად ყველაზე ადვილია, ხერხი იხმარო ატირებული ბავშვის გასაჩუმებლად, ჩხუბის შესაწყვეტად ან კიდეც მშობლის თუ თანამშრომლის დასამშვიდებლად. სამწუხაროდ, როცა გრძნობებს მალავ, ის უფრო უმართავი ხდება.

პოზიტიური კონფრონტაციის მართვა

პრობლემურ სიტუაციაში ზოგიერთი ადამიანი აქტიურ მოსმენას იყენებს, რაც ბავშვსაც და უფროსსაც სიტუაციასთან დაკავშირებული ემოციების განსაზღვრის,

შესწავლისა და გამოხატვის საშუალებას აძლევს. „იაფფასიანი და ცუდი“ რჩევა უბრალოდ უნდა უარვეყოთ; ამის ნაცვლად, ადამიანი, ვისაც დახმარებას ვუწევთ, უნდა მივახვედროთ, რა არჩევანი აქვს და რა არის თითოეული არჩევანის შესაძლო შედეგი. მხოლოდ ეს დაეხმარება მას პრობლემის გადაჭრაში. უფროსებმა, სანამ სხვისგან დახმარებას მიიღებენ, თავიანთი პრობლემების მოგვარებაზე თავად უნდა იზრუნონ. არასასურველი დახმარების შეთავაზება მეორე ადამიანისთვის თითქმის ყოველთვის საპირისპირო შედეგს იძლევა. სხვა საკითხია ბავშვებისთვის დახმარების გაწევა. თუ ბავშვს პრობლემის გადაჭრის მოტივაცია არა აქვს, მასზე პასუხისმგებლობა მშობლებმა და აღმზრდელებმა უნდა აიღონ. ისინი ბავშვს საჭიროების მიხედვით, მტკიცედ და უაღრესად ფრთხილად უნდა დაეხმარონ პრობლემების მოგვარებაში.

როდის არის საჭირო დაპირისპირება?

ალბერტი ალელვებული ელოდება მამას, რომ ბავშვებზე ზრუნვის ცენტრიდან წაიყვანოს. ის და მისი მეგობარი ჯოშუა ღამე ერთად დარჩენას გეგმავენ და აპირებენ, რომ ალბერტის მამას ამაზე ნებართვა სთხოვონ. ისინი ქვიშას თხრიან, იცინიან და იმაზე ლაპარაკობენ, როგორ მხიარულად უყურებენ საღამოს ტელევიზორს და შეჭამენ ნაყინს.

ბოლოს ალბერტის მამაც გამოჩნდება. ორივე ბიჭი ჭიშკრისკენ გარბის. ისინი ჩერდებიან და ელოდებიან, სანამ ალბერტის მამა მანქანას გააჩერებს. ალბერტი მამას ჭიშკარში შემოსვლასაც არ აცლის, ისე სწრაფად ლაპარაკობს, რომ მამას არც ესმის მისი. კაცს ხელში აჰყავს და ეუბნება: „როგორ არის ჩემი დიდი ბიჭი?“ ალბერტი ალელვებული ეკითხება: „მამა, შეიძლება ჯოშუა ღამით ჩვენთან დარჩეს? შეიძლება?“

ალბერტის მამას ორივე ბიჭი ხელში აჰყავს, ტროტუარზე ადის და ხმადაბლა ამბობს: „არა, შვილო, ამაღამ სამუშაო მაქვს. დღეს არა, მე სიამოვნებით დავურეკავ ჯოშუას მშობლებს და ვთხოვ, მომავალ კვირას, ნებისმიერ დღეს, ჯოშუა ჩვენთან დარჩეს“.

ალბერტი ხელს გაუშვებს და ტირილს იწყებს. მამამისი დაიხრება და ეუბნება: „ნამდვილად გინდა, რომ ჯოშუა ამაღამ ჩვენთან დარჩეს, არა?“ თვალცრემლიანი ალბერტი თავს უქნევს. მამა განაგრძობს: „ნაწყენი და გაბრაზებული ხარ იმიტომ, რომ მომავალი კვირა ძალიან შორს გეჩვენება“. ალბერტი ისევ უქნევს თავს.

მამა გულში იკრავს ბიჭს და ეუბნება: „ნორმალურია, რომ ტირი, ხანდახან დიდებიც ტირიან. ვიცი, რომ ჯოშუაც ცუდად გრძნობს თავს“. ალბერტი შეწყვეტს თვალების

სრესას და ჯოშუას უყურებს. შემდეგ მამას ყელზე ჩამოეკიდება და ეხვეწება: „ძალიან გთხოვ, მამა, გპირდები, არ შეგაწუხებთ“. მამას ისევ მშვიდი და თანაგრძნობით აღსავსე გამომეტყველება აქვს. ის ალბერტს ეუბნება: „ალბერტ, ნორმალურია, რომ მთხოვ, ნორმალურია, რომ ტირი, მაგრამ პასუხი არ შეიცვლება. ჯოშუა ამაღამ ჩვენთან ვერ დარჩება“.

ალბერტი ახალ ტაქტიკას – გაბუტვას მიმართავს, მაგრამ მამა მაინც სიმშვიდესა და სიმტკიცეს ინარჩუნებს, აგროვებს ალბერტის ნივთებს და წასასვლელად ემზადება. მანქანაში, როცა უსაფრთხოების ქამარს უკრავს, ალბერტი კოცნის მამას და ეუბნება: „მამიკო, მიყვარხარ“. მამა გაიღიმებს და ეუბნება: „მეც მიყვარხარ, შვილო“.

ალბერტის მამა წარმატებით არიდებს თავს წინა თავში აღწერილ სტერეოტიპებს. ის ვერავითარ შემთხვევაში ვერ აირიდებდა დაპირისპირებას, თუ ალბერტს ეტყოდა: „ჩვენ ამის შესახებ მოგვიანებით ვისაუბრებთ“; ასევე ვერ აირიდებდა დაპირისპირებას, რომ დაეთმო და ალბერტის ნებას დაჰყოლოდა, რაც იცოდა, რომ სანანებელი გაუხდებოდა; ვერ ჩაახშობდა კონფრონტაციას, რომ ეთქვა: „მეორედ აღარ მითხრა. ახლავე გაჩუმდი, თორემ ჯოშუას მომავალ კვირაშიც არ მივცემ ჩვენთან დარჩენის ნებას“. მას არ უცდია, ალბერტისათვის გადაწყვეტილება შეეცვლევინებინა ან დაეთანხმებინა და ამით ბავშვის გაბრაზება თავიდან აერიდებინა.

ამის ნაცვლად, მამა ალბერტს მაშინვე, უბრალოდ და პირდაპირ, მაგრამ, ამავე დროს, დიდი თანაგრძნობითა და პატივისცემით დაუპირისპირდა. მან მოუსმინა და ის გადაწყვეტილება მიიღო, რაც სწორად მიაჩნდა. მამამ საშუალება მისცა ალბერტს, გამოეხატა თავისი გრძნობები და შემდეგ ამ გრძნობებზე დაფიქრებულიყო. საბოლოოდ ალბერტი მიხვდა, რომ მამამისი ძლიერი ავტორიტეტია, რომელსაც შეუძლია დაეყრდნოს, და არა სუსტი ადამიანი, რომლის მანიპულირებაც შეიძლება; ან კიდევ ტირანი, რომლისაც უნდა ემინოდეს.

როგორ შეიძლება ბავშვებთან დაპირისპირება პოზიტიური და დამაჯერებელი გახდეს

გაბრაზება ხელს უშლის დამაჯერებელ დაპირისპირებას. როცა უფროსი ბავშვის უსაფრთხოებასა და კეთილდღეობას უზრუნველყოფს, მას შეუძლია ბავშვს უთხრას: „გაბრაზებული ვარ. როცა დავწყნარდები, მაშინ დაგელაპარაკები“ და დამამშვიდებელი სუნთქვითი ვარჯიშები გააკეთოს.

უფროსი დაპირისპირებას უნდა მოერიდოს, სანამ არ დამშვიდდება და თანაგრძნობის გრძნობას არ მოიკრებს. მტკივნეული დაპირისპირება ისევე

მოქმედებს ბავშვებზე, როგორც სადამსჯელო ქმედება. ეფექტური, დამაჯერებელი კონფრონტაცია კი არ აშინებს ბავშვებს, არამედ ასწავლის და იცავს მათ.

გაბრაზებული ადამიანისთვის სასარგებლოა, დაფიქრდეს და პასუხი გასცეს შემდეგ შეკითხვებს:

- რატომ ვგრძნობ თავს ასე?
- რას ვგრძნობდი, სანამ გავბრაზდებოდი? რა იყო ეს: იმედგაცრუება, შიში თუ უხერხულობა?
- ხომ არ მეშინია, ვუთხრა ბავშვს: „არა!“?
- დალლილი ვარ, მშიერი თუ ცუდად ვგრძნობ თავს?
- როგორ ვიგრძნობდი თავს, ბავშვი რომ ვიყო?
- გონივრულია თუ არა ჩემი მოლოდინი?

უფროსებს, რომლებსაც თავდაჯერება აკლიათ, ხშირად ეშინიათ გამოიყენონ შემდეგი სამი ფრაზა ყოველდღიურ საუბარში: „მე მინდა...“, „მე მჭირდება...“, „მე ვგრძნობ...“. მშობლები და აღმზრდელები ხშირად ფიქრობენ, რომ თუ თავიანთ სურვილებს, საჭიროებებსა და გრძნობებს ჩაიხშობენ, ბავშვები ბედნიერად იგრძნობენ თავს. შემდეგ, მათი აზრით, იმის ნაცვლად, რომ დაფასებულნი იყვნენ, არ აფასებენ. ისინი წამებულად წარმოიდგენენ თავს და ბრაზისა და წყენის გადმოსაფრქვევად ხელსაყრელ შემთხვევას ეძებენ. მათ მართლაც იშვიათად აფასებენ. რაც უფრო მეტის გაცემას ცდილობენ, მით მეტს ელიან მათგან ბავშვები და სხვა უფროსები. მას შემდეგ, რაც ისინი თავდაჯერებას იძენენ, აღმოაჩენენ, რომ ადვილად აღარ ბრაზდებიან, მეტად აფასებენ და ბედნიერებიც არიან.

როგორ უნდა მოვახდინოთ ყურადღების კონცენტრირება პრობლემებზე დაპირისპირების საჭიროების შემთხვევაში

აქამდე წარმოდგენილი არაეფექტური კომუნიკაციის სტერეოტიპები დავახასიათეთ როგორც უფროსების ნიშან-თვისებები. თუმცა მსგავსი თავის არიდების ტაქტიკას ბავშვებიც მიმართავენ (გვახსოვდეს, რომ ბავშვები სწავლობენ მოდელირების საფუძველზე). ბავშვები, რომლებიც იმეორებენ მშობლებისა და აღმზრდელების სუსტ ან მანიპულაციურ კომუნიკაციას, სადავო საკითხის თავიდან ასარიდებლად უფრო მეტი ალბათობით მიმართავენ ამ სტერეოტიპებს.

ბავშვები თავიდან ირიდებენ კონფრონტაციას კითხვების დაყინებული დასმით, ბრძანებების გაცემითა და ისეთი კლიშეებით, როგორცაა, მაგალითად: „ყველა სხვა დედა ნებას რთავს ბავშვს, იმდენ ხანს იყოს ფეხზე, რამდენ ხანსაც სურს“. ბავშვები არა მარტო სწავლობენ როლებს უფროსების მიბაძვით, არამედ ქმნიან კიდევ იმ სტერეოტიპების საპირისპირო ახალ როლებს, რომელთა გავლენის ქვეშაც ექცევიან. სასწავლო სერჟანტი მშობლების შვილმა შეიძლება ისწავლოს ჯადოქრის სტერეოტიპით მოქცევა: „აკრიფე ეს ნაგავი იატაკიდან!“ – „სად არის ნაგავი? ვერ ვხედავ. სად? ეს არ არის ნაგავი, ეს ჩემი კოლოფებია და მე მას ვინახავ“.

რაც მეტად დაეუფლება უფროსი გულწრფელ, დამაჯერებელ კომუნიკაციას, მით უფრო მეტი წარმატებით შეძლებს მიმართოს ბავშვის ყურადღება პრობლემასთან დაპირისპირებასა და მის გადაჭრაზე. ბავშვებს არ სჭირდებათ პრობლემური საკითხებისთვის თავის არიდება, როცა ისინი ფიქრობენ, რომ უფროსები ამ პრობლემებს გაუმკლავდებიან ფრთხილი, მაგრამ მტკიცე და სამართლიანი გზით. ბევრ უფროსსა და ბავშვს დაპირისპირებაზე ფიქრი შიშს ჰგვრის, რადგან უკვე მიღებული აქვთ ცუდი გამოცდილება, რამაც მათი გაბრაზება გამოიწვია.

დაპირისპირება, გაბრაზების გარეშე, სოციალური ურთიერთობის აუცილებელი და ჯანსაღი ნაწილია.

როგორ უნდა ჩამოვუყალიბოთ ბავშვს პასუხისმგებლობის გრძნობა

პასუხისმგებლობა ჭკუის დარიგებით არ ისწავლება. პასუხისმგებლობა შეიძლება ბავშვს მაგალითის მიცემით ვაჩვენოთ. ის შეიძლება განვითარდეს და გაძლიერდეს და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს უნდა მოხდეს უპირველესად საკუთარი ქმედების შედეგებზე პასუხისმგებლობის განვითარებით. უფროსები ხშირად არიდებენ ბავშვებს თავიანთი ქცევის შედეგებს; ისინი ეუბნებიან ბავშვებს: „უნდა შეჭამო ეს! შემდეგ მოგშვივდება“, ან კიდევ: „გაუფრთხილებლად მოიქეცი, შენი თოჯინა წვიმაში რომ დატოვე. ახლა ახლის ყიდვა მომიხდება“. ამ დროს ბავშვი მხოლოდ უფროსის გაღიზიანებას გრძნობს. ის ვეღარ გრძნობს თავისი ქცევის ბუნებრივი შედეგებს.

როცა გრძნობს, რომ მის ცუდ გადაწყვეტილებას არასასიამოვნო შედეგი მოჰყვება, უმჯობესია, ბავშვმა უფროსისაგან მხარდაჭერა და სითბო მიიღოს, უფროსებმა უნდა აღკვეთონ ბავშვის ქცევის საშიში ან საზიანო შედეგები. მაგალითად, ბავშვი რომ ხალხმრავალ ქუჩაში გაიქცეს ან კბილები არ გაიხეხოს, ამგვარი ქცევის შედეგებით თავდაპირველად, რასაკვირველია, ვერ ისწავლის. თუმცა შესაძლო შედეგების განჭვრეტა და მათზე მსჯელობა დაპირისპირების ნაწილი უნდა გახდეს.

ბავშვისათვის ქცევის შესაძლო შედეგების შესახებ ჭკუის დარიგების ნაცვლად, მოზრდილმა მოკლედ უნდა უთხრას („თუ საჭმელს გადააგდებ, მაშინ მაგიდიდან ადგები“) და მარტივი კითხვა დაუსვას („როგორ ფიქრობ, რა მოხდება, თუ აივნის ნაპირზე დადგები?“). ბავშვები რეგულარულად უნდა წახალისდნენ, თავიანთი ქცევის პოტენციური შედეგები რომ გაიაზრონ. იმ ბავშვებს, რომლებსაც შედეგების გააზრებისა და აწონ-დაწონის ჩვევა აქვთ, პასუხისმგებლობის გრძნობა და საკუთარი თავის მართვის უნარი უყალიბდებათ.

ძირითადი საკითხები, რომლებიც უნდა დაგიმახსოვროთ:

- უფროსები ბავშვებზე გავლენას ახდენენ კარგი მაგალითის მიცემითა და შესაბამისი კომუნიკაციის უნარ-ჩვევების წახალისებით.
- ყურადღებიანი, აქტიური მოსმენა ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვის აღზრდისათვის; თუმცა, საჭიროების შემთხვევაში დამოკიდებულება და არასათანადო ურთიერთობა მტკიცედ, მაგრამ ფრთხილად უნდა შეიცვალოს.
- ქცევაზე შესაფერისი რეაგირებისას უნდა გათვალისწინებულ იქნეს გრძნობები და ემოციები.
- უფროსები უნდა დაეხმარონ ბავშვებს პასუხისმგებლობის განვითარებაში და წახალისონ, ილაპარაკონ და იფიქრონ თავიანთი ქცევის პოტენციურ შედეგებზე.

პრაქტიკული გამოყენება

„აქ დაგტოვებ სამუდამოდ“

მერლინი დგას სავაჭრო ცენტრში და თავის ორი წლის შვილს ელოდება, რომ შინ წავიდნენ. ის გრძნობს, რომ თავის მხრებზე ჩამინებული ოთხი თვის ბავშვის ტარება თანდათან უჭირს. „კრისტალ, – ეძახის ორი წლის გოგონას, – ჩქარა წამოდი, შინ უნდა წავიდეთ“.

კრისტალი პასუხს არ სცემს, დაძვრება სკამებს შორის და გამყიდველებს შეჰყურებს. დედამისი მოთმინებას კარგავს: „კრისტალ, ახლავე მოდი, თორემ განანებ“. კრისტალი ყურადღებას არ აქცევს.

მერლინი სწრაფად ბრუნდება კრისტალთან, ხელს ჩასჭიდებს და ეუბნება: „წავედით“. კრისტალი რეზინის ფეხების სტრატეგიას იყენებს, რასაც ხშირად მიმართავენ პატარა

ბავშვები, როცა ბრაზდებიან. იწყებს კოჭლობას, ვარდება იატაკზე, დედას ხელზე ჩამოეკიდება და სლუკუნებს: „არ მინდა შინ წამოსვლა“.

მერლინი ხვდება, რომ კრისტალსა და ხელში აყვანილ ბავშვს უსაფრთხოდ ვერ წაიყვანს სავაჭრო ცენტრიდან და გაღიზიანებული უყვირის კრისტალს: „კარგი, მე მივდივარ. თუ არ მოდიხარ, აქ სამუდამოდ დაგტოვებ. ნახვამდის“.

მერლინი მიბრუნდება და სწრაფად მიდის სავაჭრო ცენტრიდან. მას ესმის კრისტალის ყვირილი; გოგონა სწრაფად გარბის დედამისისკენ.

კითხვები მსჯელობისათვის

1. თქვენ რას გააკეთებდით მერლინის ადგილზე? რატომ?
2. რა ისწავლა კრისტალმა ამ ურთიერთობისგან?
3. რისი გაკეთება შეიძლებოდა უსიამოვნო მდგომარეობის თავიდან ასარიდებლად?
4. გაითამაშეთ ეს სცენა პოზიტიური, დამაჯერებელი კომუნიკაციისა და დაპირისპირების გამოყენებით, შემდეგ შეადარეთ შესაძლო შედეგები.